შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№1 (9.960)

30 იანვარი-7 თებერვალი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დაკეტილია!



უხილავმა ვირუსმა ამოახველა და სამყაროში სიკვდილისა და შიშის ბაცილა გაამრავლა. ჩვეული ფუსფუსი შეწყდა. უჩვეულო სიჩუმემ დაისადგურა. უსუსურები, პირბადეაკრულები და დარაბებმოხურული სარკმლიდან მომზირლები ველით უხილავი ომის დასრულებას.

მანამდე კი ცხოვრება გრძელდება პირბადის მიღმა... მოწყენილობამ დაისადგურა ყველგან. ახალი წელიც განსხვავებულად აღინიშნა. განათებული და ლამაზად მორთული მოედნები ხალხის, ბავშვების ჟრიამულის გარეშე დარჩა...

ბევრისთვის, ვისაც კოვიდ-19 შეეყარა, 2021 წელი აღარ გათენდა. ბევრ ოჯახს შეეხიზნა სიკვდილი. საახალწლო განწყობაც ასეთივე იყო-არასაზეიმო, მაგრამ მაინც იმედიანი. იმედის სხივი კი 2020 წლის ბოლოს გაჩნდა ვაქცინის სახით. თუმცა, პანდემიამ ადამიანების სიცოცხლესთან ერთად ეკონომიკაც იმსხვერპლა. თავყრილობები კვლავ აკრძალულია, საზოგადოებრივი ტრანსპორტი გაჩერებული, ღია და დახურული ბაზრობები, სატრენაჟორო დარბაზები და რესტორნები დაკეტილი... ბაკურიანისა და გუდაურის თოვლიანი, წელიწადის ამ დროს ხალხმრავალი სათხილამურო ტრასები-ცარიელი...

საქართველოში მთავარი პროდუქტი უკვე რამდენჯერმე გაძვირდა. მთავრობამ პურის ფასი დააზღვია (დაასუბსიდირა), მაგრამ კერძო სექტორს ეს არ ეხება. თონეში პურის ფასმა 80 თეთრს მიაღწია.

სურათი საკმაოდ მძიმეა: პანდემიის შედეგად გაჩერებული და გაკოტრების პირას მყოფი ობიექტები, შემოსავლის გარეშე დარჩენილი ადამიანები. საქართველოს მთავრობამ კომუნალური გადასახადების სუბსიდირებისა და უმუშევრად დარჩენილი პირების დახმარების პროგრამა აამოქმედა, მაგრამ ადამიანები ამბობენ, რომ ეს ამინდს ვერ ქმნის.

საქართველოს ხელისუფლებასთან არაერთი შეხვედრის მიუხედავად, ბიზნეს-სექტორმა შეთანხმებას ვერ მიაღწია. ბიზნეს ობიექტები კვლავ დახურულია.

საქართველოში კორონავირუსის პანდემიისა და შემოღებული შეზღუდვების გამო ბევრი სფერო სერიოზულად დაზარალდა, თუმცა, სარესტორნო და სასტუმრო სექტორები, ფაქტობრივად,

გაგრძელება გვ.3.

C M Y K

ახალი სააღმზრდელო ცენტრი ხორნაბუჯსა და ჭოეთს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორთან, მაია ყოჩიაშვილთან ერთად სოფელ ხორნაბუჯის მშენებარე საბავშვო ბაგა-ბაღი დაათვალიერა.

მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება 2020 წელს დაიწყო და რამდენიმე დღეში დასრულდება.

ხორნაბუჯის თანამედროვე სტანდარტების საბავშვო დაწესებულებაში ხორნაბუჯისა და ჭოეთის მომავალი თაობა ისწავლის, სადაც მათი ღირსეული აღზრდისათვის ყველანაირი პირობა იქნება შექმნილი. პროექტის ღირებულება 800 000 ლარზე მეტს შეადგენს.

ზემო მაჩხაანში ახალი სკოლა აშენდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანში ახალი საჯარო სკოლა აშენდა. სამშენებლო სამუშაოები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტომ განახორციელა.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამსართულიანი შენობა 300 მოსწავლეზეა გათვლილი და სრულადაა ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის: შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი, მოწყობილია პანდუსები და ადაპტირებული სველი წერტილები.

ახლად აშენებულ სკოლას აქვს თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სპორტული დარბაზები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასკაბინეტი და ბიბლიოთეკა. ასევე სკოლის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილია სარეკრეაციო სივრცე და ღია სპორტული მოედანი.

ცვლილებები კანონში

პარლამენტმა პირველი მოსმენით „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში ცვლილებები მიიღო

პარლამენტმა პირველი მოსმენით, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში ცვლილებები მიიღო, რომლის საფუძველზეც, COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის მიზნით, კანონს სპეციალური მუხლი ემატება. კანონპროექტს 81-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. პროექტით, პროფილაქტიკური აცრისთვის ან მკურნალობისთვის განკუთვნილი ფარმაცევტული პროდუქტის შემოტანისას, როდესაც ფარმაცევტულ პროდუქტს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ან მის მიერ აღიარებული მკაცრი მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან მინიჭებული აქვს ავტორიზაცია ან პრეკვალიფიკაცია, ამ ფარმაცევტული პროდუქტის გამოყენების შედეგად შესაძლო ზიანზე პასუხისმგებელია სახელმწიფო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანზე პასუხისმგებელია იმპორტიორი, სამედიცინო პერსონალი, სამედიცინო დაწესებულება, ან პროდუქტის მწარმოებელი, მწარმოებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

საქართველოში შემოსვლისთვის, შესაძლოა, ვაქცინაციის საბუთი გახდეს საჭირო

„მთავრობა რეგულარული ფრენების აღდგენაზე მუშაობს“ - აღნიშნულთან დაკავშირებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა.

მისივე თქმით, სავარაუდოდ, თებერვალი იქნება ის თვე, როდესაც ქვეყანაში ფრენებზე შეზღუდვები მოიხსნება. **„იხსნება ფრენები, ამაზე გვქონდა საუბარი. თებერვალი, სავარაუდოდ, იქნება ის თვე, როდესაც რეგულარულ ფრენებზე შეზღუდვებს მოვხსნით. ეს არ ნიშნავს ქაოტურ და უკონტროლო შემოსვლას ქვეყანაში. პირიქით, ეს იქნება კონკრეტულად კონტროლირებადი - ან ტესტებით ან ვაქცინაციის საბუთით ან სხვა ადეკვატური საბუთით კონტროლირებადი შემოსვლა. მაგრამ ეს არის პირველი იმედი ტურისტული სეზონის აღდგენა/დაწყების,“** - განაცხადა თურნავამ.

განათლების სამინისტროს კულტურისა და სპორტის ნაწილი გამოეყოფა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას განცხადებით, უკვე დასრულებულია ყველა ტექნიკურ საკითხზე მუშაობა, რომ განათლების უწყებას კულტურისა და სპორტის სამინისტრო გამოეყოს. ამის შესახებ გახარიამ მთავრობის სხდომიაზე განაცხადა.

როგორც გახარიამ აღნიშნა, ახალ სამინისტროს დაემატება მთავრობის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში მყოფი ახალგაზრდობის სააგენტოც და უწყება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სახელით იფუნქციონირებს.

„უკვე ყველა ტექნიკური სამუშაო დასრულებულია და მომზადებულია მთავრობის დადგენილება იმასთან დაკავშირებით, რომ განათლების სამინისტროდან გამოიყოს კულტურის, სპორტის და ამას დაემატება ახალგაზრდობის სამინისტრო. ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი როგორც ჩვენი კულტურის, ასევე სპორტის წარმომადგენლებისთვის. ჩვენ ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი კუტურული მემკვიდრეობა, ისევე როგორც თანამდეროვე ხელოვნება, არის ის უძვირფასესი ნაწილი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების, რომელზეც ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ. რა თქმა უნდა, ცალკე სამინისტრო, ისევე როგორც სპორტის მიმართულებით, განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში თუ გავითვალისწინებთ ჩვენი სპორტის მიღწევებს, იმსახურებს. გარდა ამისა, ახალგაზრდობის სააგენტო, რომელიც აქამდე მთავრობის ადმინისტრაციის ქვეშ ფუნქციონირებდა, მთავრობის ადმინისტრაციის ზედამხედველობით, ამ დადგენილების შემდგომ გახდება კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს ნაწილი“, – განაცხადა გახარიამ.

წესები, რომელიც სწრაფი გადახდის აპარატიდან გადარიცხვისას სავალდებულო გახდა

15 იანვრიდან საქართველოს ეროვნული ბანკის რეკომენდაციით, მომხმარებელთა პირადი მონაცემების დაცვის მიზნით, თვითმომსახურების ტერმინალებით სხვადასხვა გადარიცხვის ოპერაციის შესრულებისას, მომხმარებლის პირადი ნომრისა და მობილურ ტელეფონზე გამოგზავნილი SMS კოდის შეყვანა სავალდებულო გახდა.

როგორც საქართველოს საბანკო ასოციაციის განცხადებაშია აღნიშნული, მსგავსი რეგულაცია განპირობებულია 2019 წელს მიღებული **„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“** საქართველოს ახალი კანონის მოთხოვნებით, რომელიც თავის მხრივ ემყარება ევროდირექტივით და FATF-ის 40 რეკომენდაციით გათვალისწინებულ საერთაშორისო სტანდარტებს. კანონის „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ მიზანია საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის შექმნა. ამ კანონის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ანგარიშვალდებული პირისთვის, საზედამხედველო ორგანოსთვის და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ადმინისტრაციული ორგანოსთვის, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოებისთვის, აგრეთვე ანგარიშვალდებული პირისა და სამსახურის ხელმძღვანელებისა და თანამშრომლებისთვის.

მიმდინარე ცვლილებების შესახებ სრულად იყო ინფორმირებული საფინანსო სექტორის შესაბამისი წარმომადგენლები. მათ ჰქონდათ გარკვეული ვადა იმისთვის, რომ მოეხდინათ მომხმარებლების ინფორმირება ახალი რეგულაციის 2021 წლიდან ამოქმედების შესახებ და ამასთანავე ეწარმოებინათ საინფორმაციო კამპანია ამ მიმართულებით.

შედეგად, მომხმარებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცესის გავლა შემდეგ სერვისებზე თანხის გადარიცხვისას სავალდებულოა:

- აზარტული თამაშები და ლატარია;
- ონლაინ თამაშები;
- დაზღვევა და კერძო საპენსიო ფონდები;
- ფინანსური სერვისები, მათ შორის: ფიზიკური და იურიდიული პირის საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და სესხის გამცემი სუბიექტების სერვისები, ლიზინგი, ელექტრონული საფულის შევსება, ფინანსური ბაზრები და ფულადი გზავნილები;
- ინტერნეტ მარკეტინგი;
- ტრანსპორტი და ლოჯისტიკა;
- ტურისტული მომსახურება;
- ქსელური მარკეტინგი;
- ქველმოქმედება;
- საკონსულტაციო მომსახურება;
- პოლიტიკური პარტიები;
- უძრავი ქონების ყიდვასთან დაკავშირებული სერვისები.

იდენტიფიკაცია არ არის საჭირო:

- კომუნალური გადახდები (დენი, წყალი, გაზი, დასუფთავება, ინტერნეტი და ტელეკომუნიკაცია, მობილური ოპერატორები);
- სახელმწიფო ხაზინაში შემავალი გადახდები;
- სახელმწიფო საპენსიო ფონდში გადახდები;
- სამოქალაქო ტრანსპორტი (მუნიციპალური ტრანსპორტი, ტაქსი, რკინიგზის ბილეთები, ავტობუსის ბილეთები);
- საფოსტო მომსახურება;
- განათლება (უმაღლესი სასწავლებლები, სკოლა, ბაგა-ბაღი, საბავშვო წრეები);
- სპორტული გამაჯანსაღებელი წრეები;
- მედია/პრესა (გაზეთების და ჟურნალები) გამოწერა;
- საყოფაცხოვრებო მომსახურება (ლიფტები, დასუფთავება, დაცვა, მცირეთანხიანი სარემონტო სამუშაოები);
- ჯანდაცვა (სამედიცინო მომსახურების საფასური) და ვეტერინარია (გარდა მედიკამენტებით ვაჭრობისა);
- სავიზო მომსახურების საფასური;
- გარკვეული ტიპის დაზღვევა, რომელიც კანონმდებლობით გათავისუფლებულია იდენტიფიკაციის მოთხოვნებისგან;
- დაბალრისკიანი საქონლის შეძენა.

„ცვლილება პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს უკავშირდება და ის რეგისტრაციის სავალდებულოობას განსაზღვრავს იმ ოპერაციებთან მიმართებით, რომლებიც ფულის გათეთრების მომეტებული რისკების მატარებელია, ხოლო არაერთი კატეგორიის სერვისზე ის არ იმოქმედებს. სწრაფი გადახდის აპარატებით განხორციელებულ ნებისმიერი სხვა ტიპის გადახდებზე მოქმედებს ნულოვანი იდენტიფიკაციის ვალდებულება. შესაბამისად, ეს მოთხოვნა დაწესებულია მხოლოდ იმ ტიპის გადახდებზე, რომელიც შედარებით მომეტებული M&ფთ რისკების მატარებელია და საჭიროა, მათი სრულყოფილი მონიტორინგი ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების მიტიგიციისათვის. ამ ცვლილებების შესახებ სრულად იყვნენ ინფორმირებული საფინანსო სექტორის შესაბამისი წარმომადგენლები. მათ ჰქონდათ გარკვეული ვადა იმისთვის, რომ მოეხდინათ მომხმარებლების ინფორმირება ახალი რეგულაციის 2021 წლიდან ამოქმედების შესახებ“, – აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

კომპანია ფრონტერასა და ამავე კომპანიის ყოფილ თანამშრომლებს შორის ზეპირი შეთანხმება შედგა

ამერიკული კომპანია „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ თანამშრომლები 11 თვის კუთვნილი ხელფასის მიღებას ითხოვენ. ისინი დედოფლისწყაროში შეიკრიბნენ და განაცხადეს, რომ კომპანიამ ბაზიდან ნავთობი გაიტანა, თუმცა ამჯერადაც დაარღვია პირობა და დავალიანება არ დაფარა. აქციის მონაწილეების თქმით, ხელფასების დავალიანების გასტუმრება გაზისა და ნავთობის კომპანიის ვალდებულებაცაა, რომელიც კომპანიის 50% წილის მფლობელია. დედოფლისწყაროში ნავთობის მოპოვებაზე დასაქმებული 84 თანამშრომელი კუთვნილი ხელფასის მიღებასთან ერთად, სამსახურში აღდგენასაც ითხოვს.

ნოდარ ცხვედიაშვილი: „ საბოლოოდ ამ საკითხს ხომ უნდა დაესვას წერტილი. ჩვენს უკან დგანან ოჯახები. ჩვენს რაიონში არის ეს საბადო, გვაქვს წიაღისეული და რატომ არ უნდა იმუშავოს ჩვენმა ხალხმა, რომ არჩინოს ოჯახები?“.

ივერი წიკლაური: „არანაირი ანაზღაურება არ ყოფილა. ბოლო ორთვენახევრის განმავლობაში საბადოდან გავიდა 1500 ტონა ნავთობი, ამასთან დაკავშირებით რამდენიმე ადამიანთან იყო სიტყვიერი შეთანხმება, რომ მიგვეცა ნავთობის გატანის საშუალება და ისინი დავალიანების ანაზღაურების პირობას იძლეოდნენ. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ცარიელ სიტყვებად დარჩა“.

რამდენიმესაათიანი აქციის შემდეგ ნავთობმომპოვებელ კომპანია “ფრონტერასა” და ამავე კომპანიის ყოფილ თანამშრომლებს შორის ზეპირი შეთანხმება შედგა.

კომპანიის პოზიცია დედოფლისწყაროს ნავთობაზის მენეჯერმა, გიორგი ჯანიაშვილმა გაახმოვანა, რომლის მიხედვითაც ყოფილ თანამშრომლებს სახელფასო დავალიანება ეტაპობრივად ჩაერიცხება და ეს თანხა 500 ლარი იქნება.

ამ შეთანხმების შემდეგ აქცია დაიშალა. აქციის მონაწილეები იმედოვნებენ, რომ ამ დაპირებას კომპანია შეასრულებს და წლის განმავლობაში არსებულ დავალიანებებს სრულად გაისტუმრებს.

„ფრონტერას“ წინააღმდეგ სახელმწიფომ დავა საერთაშორისო არბიტრაჟში მოუგო. კომპანია “ფრონტერას” 11-თვიანი დავალიანება 84 თანამშრომლის მიმართ ჯამში მილიონამდე ლარი აქვს. კუთვნილი დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით ყოფილმა თანამშრომლებმა კომპანიის წინააღმდეგ სარჩელით სასამართლოს გასულ წელს მიმართეს.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2020 წელს , ერთჯერადი დახმარება მიიღო კომპანია „ფრონტერადან“ გათავისუფლებულმა 84 თანამშრომელმა. ნავთობისა და გაზის კორპორაციამ თითოეულს ერთჯერადად 1200-ლარიანი დახმარება გაუწია.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

ფერმერების აგროდიზელით მხარდაჭერის პროგრამა 2021 წელსაც გრძელდება.

პროგრამაში რეგისტრაცია დაიწყება პირველ თებერვალს, ხოლო ფასდაკლების ბარათების გააქტიურება 7 თებერვლიდან ეტაპობრივად განხორციელდება.

ფერმერებს ფასდაკლებით სარგებლობა უკვე ელექტრონულადაც შეუძლიათ და ბენზინგასამართ სადგურებზე დაბეჭდილი დოკუმენტის წარდგენა აღარ მოუნევთ.

საწვავზე ფასდაკლების დასტური გაიცემა დისტანციურად, ვებგვერდის https://my.mepa.gov.ge საშუალებით. ფერმერებს ასევე შეეძლებათ ბარათები სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონულ სამსახურებშიც მიიღონ.

ფერმერებისათვის შეღავათიანი პირობებით საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებით, დღეს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კომპანია ,,სოკარ ჯორჯია პეტროლიუმს“ შორის მემორანდუმი გაფორმდა.

სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ანტიკრიზისული გეგმის - „ზრუნვა სოფელზე და ფერმერზე“ ფარგლებში, 2020 წელს აგროდიზელის პროგრამა წარმატებით განხორციელდა. ფასდაკლებით ისარგებლა 125 ათასმა ფერმერმა და მათ 7 მილიონ ლარზე მეტი შეღავათი მიიღეს.

აგროდიზელის შეღავათიან ფასად მიღებას კვლავ შეძლებენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელი ის ფიზიკური და იურიდიულ პირები, რომელთაც აქვთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრებად რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა-სა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გარდა საძოვრისა, ან ის პირები, რომლებიც მოახდენენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირველად რეგისტრაციას და დაზუსტებას.

პროგრამით მოსარგებლე ფერმერებისთვის გათვალისწინებულია 1 ჰექტარზე 150 ლიტრის, ხოლო 100 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არა უმეტეს 15 000 ლიტრის ოდენობით საწვავის ფასდაკლების ბარათების გაცემა.

პროგრამით მოსარგებლე ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ დიზელის საწვავი მიმდინარე წლის განმავლობაში, ყოველთვიურად, კონსოლიდირებულ ტენდერში დაფიქსირებულ ფასზე 20 თეთრით იაფად შეისყიდონ კომპანია „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ საბითუმო ბაზებიდან, ხოლო ავტოგასამართი სადგურებიდან - 16 თეთრის ფასდაკლებით.

მთელი ქვეყნის მასშტაბით დიზელის შეუფერხებლად გაცემა მოხდება დადგენილი გრაფიკის მიხედვით, კერძოდ - 1 თებერვლიდან 31 მარტის ჩათვლით. გაიცემა არაუმეტეს 2 000 ლიტრი საწვავი, 1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით - დამატებით 1 500 ლიტრი, ხოლო 1 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით - დარჩენილი რაოდენობა.

გახსნის მოლოდინში...

/პირველი გვერდიდან/

განადგურების პირას აღმოჩნდნენ-ამბობენ რესტორატორები.

ბურჯანაძის განმარტებით, თუ რესტორნები დროულად არ გაიხსნება, ბიზნესის ეს სფერო საბოლოოდ ჩამოიშლება, ვინაიდან რესტორნის მეპატრონეთა დიდ ნაწილს დავალიანება დაუგროვდათ.

„პანდემიის წამალი არსებობს, შიმშილის-არა“-ასეთია ბიზნესის წარმომადგენელთა პოზიცია. მათ მოსაზრებას იზიარებს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ფუნქციონირებაშეჩერებულ ობიექტებში იყო დასაქმებული. არანაკლები სირთულე შექმნა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებამ. დიდ ქალაქებში გადაადგილების ერთადერთ საშუალებად ტაქსი დარჩა. მათი მომსახურება საგრძნობლად გაძვირდა. ამ ფაქტორის გამო ბევრმა სამსახური დაკარგა და შემოსავლის გარეშე დარჩა.

როგორც ქვეყნის მთავარი ეპიდემიოლოგები ამბობენ, ეპიდსიტუაცია კი სტაბილიზაციისკენ მიდის, მაგრამ სიფრთხილეა საჭირო, რომ ეს მონაპოვარი არ დაიკარგოს. **„თუ კოვიდ-19 გავრცელების მაჩვენებელი 4%-ზე მაღალი არ იქნება, მაშინ რეგულაციების მოხსნის ეტაპობრივი გეგმა გადმოიწევს“-** ასეთია ქვეყნის მეთაურისა და ეპიდემიოლოგების პოზიცია.

საქართველოს მოსახლეობა ვაქცინასთან ერთად ტრანსპორტისა და ბიზნეს-ობიექტების გახსნის მოლოდინშია. „სიფრთხილის ზონაში ყოფნა კარგია, მაგრამ აქაც ზომიერებაა საჭირო“-ამბობს ხალხი და რეგულაციებსა და კომენდანტის საათს ამრეზით, პირბადის მილმა უყურებს.

ინგა შიოლაშვილი..

„ახალი მსოფლიო წესრიგი“- ს მოლოდინში

„აშკარაა, მიმდინარეობს მსოფლიოს ახალი წესრიგის ჩამოყალიბების პროცესი და შეიძლება ითქვას, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ აღმოვჩნდებით სრულიად ახალ რეალობაში, სხვანაირ მსოფლიოში, სადაც შეიცვლება არა მხოლოდ სამედიცინო და ეკონომიკური მიდგომები, არამედ პოლიტიკურ ძალთა ბალანსი და, რაც მთავარია, ადამიანის ცნობიერება. ბევრ სახელმწიფოს - განსაკუთრებით ევროპაში - მოუწევს საკუთარი პოლიტიკის გადახედვა; ამის გაკეთება მოუწევთ დიდ პოლიტიკურ გაერთიანებებსაც. ისმის კითხვა: რატომ ვერ უმკლავდებიან ძლიერი ქვეყნების სამედიცინო სისტემები ამ გამოწვევას? უპირველესად იმიტომ, რომ იმდენი ხანია, მსოფლიოში ამგვარი გამოწვევა არ ყოფილა, რომ აღარც ექიმია საკმარისი და არც - მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საბჭოთა კავშირის დროს კარგა ხნის განმავლობაში რეგიონების მიხედვით არსებობდა შავი ჭირის სადგურები და მუდმივად მიმდინარეობდა ეპიდვითარების აღწერა. საქართველოში იყო უდიდესი სპეციალისტი თამაზ კერესელიძე, რომელმაც ეპიდემიოლოგიის უძლიერესი სკოლა შექმნა. ეს სამი ადამიანი, დღეს გმირებად რომ იქცნენ, სწორედ მისი სკოლის გამოზრდილია. ამ სკოლისა და ლუგარის ლაბორატორიის არსებობამ, ამასთანავე, კრიზისის მართვის სწორმა სისტემამ, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ შეიმუშავა, შექმნა დღევანდელი ვითარება. იმედი ვიქონიოთ, რომ ასე გაგრძელდება და რაც შეიძლება ნაკლები ადამიანური დანაკარგით გავიცლით ამ რთულ პერიოდს“, - მიიჩნევს ექსპერტი მამუკა არეშიძე.

ცნება - „ახალი მსოფლიო წესრიგი“, რომელმაც პოლიტიკის მეცნიერებაში განსაკუთრებული აქტუალობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან შეიძინა, არცთუ ისე ახალია. როგორც მსოფლიო ისტორიული პროცესები ცხადყოფს, აღნიშნული პარადიგმა მნიშვნელოვანი გლობალური მოვლენების პარალელურად ვითარდება და მსოფლიო პოლიტიკის დიდ სურათს ქმნის. ვინაიდან, მსოფლიო პოლიტიკაში „ახალი მსოფლიო წესრიგის“ პარადიგმის ძირითადი პრინციპები და ამოცანები მსოფლიო ჰეგემონობისკენ სწრაფვაა, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ იგი ჯერ კიდევ უძველესი ცივილიზაციებიდან იღებს სათავეს. მაგალითად, ანტიკურ ეგვიპტეში „ახალი მსოფლიო წესრიგი“ გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებს მოიცავდა. თანმიმდევრული ანალიზი ცხადყოფს, რომ „ახალი მსოფლიო წესრიგი“, რომელიც არაერთ ასწლეულს მოიცავს, საზოგადოების განვითარებასთან ერთად ყალიბდება და კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე გლობალური მასშტაბის ტრანსფორმაციას განიცდის. ასევე ეჭვგარეშეა, რომ ექსპანსიონიზმის, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმისკენ მიდრეკილი სახელმწიფოებისთვის „ახალი მსოფლიო წესრიგი“ ერთპიროვნული მმართველობისა და მსოფლიო ბატონობის შენარჩუნებასთან ასოცირდება, რომლის არაერთი მაგალითი შემოინახა ისტორიის ფურცლებმა.

ისტორიკოსთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ XXI საუკუნის მსოფლიო წესრიგი ფაქტობრივად, „ცივი ომის“ ერთგვარი გაგრძელებაა, ვინაიდან ყოფილ ზესახელმწიფოებს შორის დღესაც არაერთგზის იკვეთება ინტერესთა დაპირისპირება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე მწვავე სამხედრო კონფლიქტების ჭრილში. ამასთანავე, რეგიონული დომინანტობისთვის იბრძვიან ჩინეთი, თურქეთი, ირანი და ნავთობით მდიდარი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, რომელიც თავის მხრივ, კიდევ უფრო რთულსა და კომპლექსურ ხასიათს სძენს ისედაც ცვალებად საერთაშორისო სისტემას.

რუსეთის ფედერაციის მიერ ჯერ საქართველოს სუვერენული ტერიტორიების ოკუპაციამ, ხოლო მოგვიანებით კი-ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიამ კიდევ ერთი კონფლიქტი წარმოშვა პოსტსაბჭოთა სივრცეში და ისევ დააფიქრა მსოფლიო თანამეგობრობა იმაზე, თუ როგორია რეალურად XXI საუკუნის მსოფლიო წესრიგი, როდესაც დიდი ძალები, ისევ აქტიურად ახდენენ ძალის დემონსტრირებას მათი „იმპერიალისტური“ ამბიციების დაკმაყოფილებისა და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარების მიზნით.

მნიშვნელოვანია პანდემიის წვლილიც „ახალი მსოფლიო წესრიგი“-ს დამყარებაში. ისეთი ნამდვილად აღარ იქნება მსოფლიო, როგორიც პანდემიამდე იყო. მკაფიო და ზუსტი სურათის ჩამოყალიბება, რა იქნება ახლო, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, ჯერ კიდევ ძალიან რთულია, თუმცა უკვე შეიძლება თამამად საუბარი იმ გამოწვევებსა და ნაკლოვანებებზე, რაც გამოიკვეთა ვირუსის გავრცელების და განსაკუთრებით მასთან გამკლავების პროცესში. ბევრი ექსპერტი ვარაუდობს, რომ ამჟამინდელი მსოფლიო წესრიგი ცვლილებების ზეწოლის წინაშე აღმოჩნდება და რომ წარმოიქმნება ახალი მსოფლიო წესრიგი. რა თქმა უნდა, ეჭვგარეშეა, რომ ჩვენ შევალთ ახალ გლობალურ მასშტაბურ პროცესში. თუმცა ნაკლებად შესაძლებელია ითქვას, რომ კორონას ეპიდემიის შემდეგ მსოფლიო წესრიგი ძირეული ცვლილების წინაშე აღმოჩნდება და ეს გარდაუვალია. ეს მიდგომა სინამდვილეში კორონას ეპიდემიით გამოწვეული ფსიქოლოგიური განწყობის ნაწილია. რატომ არ ცვლის კორონა გლობალური მასშტაბის სტრუქტურულ თამაშებს? ამაზე პასუხის გასაცემად, აუცილებელია შევხედოთ მსოფლიო წესრიგის ფაქტს და მის შექმნას.

როდესაც ბოლო ხუთი საუკუნის მსოფლიო პოლიტიკას მსოფლიო წესრიგის თვალსაზრისით ვუყურებთ, ვხედავთ, რომ სამი ძირითადი ელემენტი ჩნდება წინა პლანზე: ძალაუფლების განაწილება, პოლიტიკური ეკონომიკა და საერთაშორისო ნორმები / წესები. ძალაუფლების გადანაწილება განსაზღვრავს (დიდ) ძალებს შორის კონკურენციის ძირითად კურსს, პოლიტიკური ეკონომიკა, სისტემის ფუნქციონირების წესები, საერთაშორისო ნორმები პირდაპირ განსაზღვრავს საერთაშორისო სოციალიზაციის პროცესს. მაგალითად, სისტემაში, სადაც ძალა სამზე მეტ სახელმწიფოს შორისაა განაწილებული, მსოფლიო წესრიგი მულტიპოლარულია, როდესაც იგი ორ ძალას შორისაა განაწილებული ბიპოლარული და მხოლოდ ერთი მოთამაშის ხელში თავმოყრის შემთხვევაში კი ერთპოლარული. ჩანს, რომ მთავარი დინამიკა, რომელიც საშუალებას იძლევა მსოფლიო წესრიგის ერთ პოლარულიდან მეორეში გადასვლას, არის ომი. წონასწორობას ძალის მიმდინარე განაწილებაში, ყოველი ომის შემდეგ გლობალური წესრიგის შექმნა ხდება ახალი პარადიგმის საფუძველზე. ეკონომიკური სისტემა და ნორმები, რომლებიც ქმნიან ამ პარადიგმის ბირთვს, განსაზღვრავენ გლობალური მასშტაბების მქონეთა პოზიციებს, როლებს და მოქმედების რეჟიმებს. როგორც სახელმწიფოები, თქვენ ან ადაპტირდებით სისტემასთან ან შეეწინააღმდეგებით სისტემას ან შეეცდებით შეუერთდეთ სისტემას რომ ისარგებლოთ მისით.

იმისთვის, რომ კორონავირუსის შემდეგ მსოფლიო წესრიგი ახლით შეიცვალოს, კორონას ეპიდემიამ უნდა გამოიწვიოს ცვლილება არსებული ძალების გადანაწილებაში, ამის პარალელურად, მოთამაშემ ან მოთამაშეებმა, რომლებიც გააკონტროლებენ ეკონომიკურ სტრუქტურას, სტრუქტურული მოწყობა უნდა განახორციელონ, რაც გამოიწვევს სისტემის სამუშაო მექანიზმების შეცვლას და ახალი ნორმების ღერძის შესაბამისად ახალი გლობალური რეჟიმის შექმნას. ჩანს, რომ არსებული მსოფლიო წესრიგი ძალთა გადანაწილების კუთხით ემყარება ამერიკულ უპირატესობას, მაგრამ ეს არ არის ერთპოლარული. ბოლო წლებში, ძალთა გადანაწილებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა არ მომხდარა. მაგალითად, ვერც ერთმა მოთამაშემ, რომელიც შეიძლება იყოს საშუალო ზომის კატეგორიაში, დიდი ძალის სტატუსს ვერ მიაღწია, რითაც ცვლილების შეტანას შესძლებდა ძალათა სტატუსებში. ან დიდი ძალაუფლების სტატუსის მქონე ძალებმა მატერიალური სიძლიერის გაზრდით ვერ მიაღწიეს ზესახელმწიფოებრივ პოზიციას. უფრო მნიშვნელოვანია, რომ როგორც აშშ-ს სუპერ სახელმწიფოს სტატუსი არ შეცვლილა, ასევე არ მიუღწევიათ ჩინეთის მსგავს მოთამაშეებს სუპერ ძალის სტატუსამდე. ცხადია, შეუძლებელია იმის თქმა, რომ გლობალური მასშტაბით ყველა მოთამაშის ძალის სტატუსის დიდ და მცირე ცვლილებებს სტატიკური ხასიათი აქვთ. თუმცა გლობალურმა სისტემამ, ამ სისტემის შიგნით შემავალმა რეგიონალურმა ქვესისტემებმაც კი, დიდი სტრუქტურული ცვლილებები არ განიცადა.

თუ გლობალური ძალაუფლების განაწილებაში კორონას გამო ახალი სიტუაციის წარმოქმნის ალბათობა სუსტია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი სვეტი იგივე დარჩება. ამ შემთხვევაში, მეორე და მესამე დონე, რომელსაც უნდა გადავხედოთ, უნდა იყოს ეკონომიკა და გლობალური ნორმა. სინამდვილეში შესაძლებელია მსგავსი მიდგომის გაკეთება ეკონომიკასთან, რადგანაც ეკონომიკა ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია ძალის გაანგარიშების პარამეტრებს შორის. ამჟამინდელი ეკონომიკური მონაცემებით ნათქვამია, რომ გლობალურ ძალთა გადანაწილებას მკვეთრი ცვლილება არ ემუქრება. თუ ცუდი (არა ყველაზე უარესი) სცენარი მოხდება, ამბობენ, რომ ზარალი, რომლის წინაშეც გლობალური ეკონომიკა აღმოჩნდება კორონას შემდეგ, მთლიანი გლობალური ეკონომიკის მხოლოდ 5%-ს შეესაბამება. ამრიგად, თუ არ მოხდება ეკონომიკური მოულოდნელი განვითარება, არ მოხდება დიდი შეწყვეტა ამჟამინდელი გლობალური ეკონომიკური წყობილებიდან. მეორეს მხრივ, ძნელია ამტკიცო, რომ გლობალური ნორმები (ეს არის ეკონომიკური და პოლიტიკური და ა.შ.) კორონათი დასრულდება.

მაგრამ ძალის გადანანილებაში თუ ცვლილების შესაძლებლობა არ არსებობს, ამჟამინდელი მსოფლიო წესრიგის ნაცვლად ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნა შესაძლებელია თუ არა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ნაკლებად შესაძლებელია. თუმცა მრავალი მიზეზი გვაქვს იმის სავარაუდოდ, რომ მოხდება გლობალური მასშტაბის ცვლილება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ცვლილება მოხდება ყოველდღიური ცხოვრებიდან ჩვენს სოციალიზაციის პროცესებამდე, სახელმწიფო ფუნქციების შეცვლიდან თავისუფლებამდე, დემოკრატიდან და ნაციონალიზმის მსგავს ბევრ ფაქტორმადე.

რაც შეეხება საქართველოს...

,,თუ აქამდე ჩინეთი და მისი მსგავსი ქვეყნები ნაკლები პოლიტიკური რისკის შემცველ ქვეყნებად ითვლებოდნენ (პოლიტიკური სტაბილურობის გამო) და ამიტომ ინვესტორთა მიმზიდველობაც მაღალი იყო, ახალი კორონავირუსის კრიზისის შედეგად გამოჩნდა, რომ ასეთი ტიპის ქვეყნები ადვილად მალავენ ინფორმაციას, არ არიან ტრანსპარენტულები, შესაძლოა არ აცხადებდნენ იმ საშიშროებებს, რაც უკვე იციან და პოლიტიკური მიზნების გამო დამატებითი რისკი შეიძლება შეუქმნან ინვესტორებსაც და საერთაშორისო საზოგადოებასაც. ასევე ქვეყნები, რომლებიც ამ კრიზისის დროს განსაკუთრებულ რეგულაციებს შემოიღებენ კაპიტალის გატანაზე, მოგების რეპატრიაციაზე და სხვა, აუცილებლად გაიუარესებენ საინვესტიციო მიმზიდველობას ამ კრიზისის გადავლის შედეგად (მაგალითისთვის, რუსეთის მთავრობამ უკვე შემოიღო ქვეყნიდან კაპიტალის გატანაზე დამატებითი 15%-იანი გადასახადი, რათა შეამციროს ქვეყნიდან მყარი ვალუტის გადინება).

შესაბამისად, სავარაუდოდ გაიზრდება ასეთი ქვეყნების რისკის ფაქტორი და ღია, ტრანსპარენტული, დემოკრატიული ქვეყნების მიმზიდველობა ამაღლდება როგორც ინვესტორებისთვის, ასევე საერთაშორისო დონორებისთვის. ამ შემთხვევაში საქართველოს ეძლევა შანსი, გამოჩნდეს უფრო კონკურენტუნარიანი ბევრ ქვეყანასთან შედარებით, თუ შევძლებთ დავაკმაყოფილოთ ღია და დემოკრატიული სახელმწიფოს გარკვეული სტანდარტები. მსოფლიოში მხოლოდ შვიდ ქვეყანას აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ერთდროულად ჩინეთთან და ევროკავშირთან. ესენია: ისლანდია, ჩილე, პერუ, სინგაპური, სამხრეთი კორეა, შვეიცარია და საქართველო. ამ ქვეყნებს შორის საქართველო საკმაოდ კონკურენტუნარიანად გამოიყურება როგორც გეოგრაფიული მდებარეობის, ასევე ბიზნესის კეთების ხარჯის თვალსაზრისით (დანახარჯები მუშახელზე, მშენებლობაზე, გადასახადები და სხვა).

გარდა ამისა, საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები თურქეთთან, ჰონკონგთან, EFTA-ს ქვეყნებთან და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ჩინეთიდან საწარმოების გამოტანა და ახალი ინვესტიციებისთვის ჩინეთი და რუსეთი მიუღებელი იქნება, სავსებით რეალურია ასეთი ინვესტიციების საქართველოში მოზიდვის შანსი. რა თქმა უნდა, ჩვენ მარტო არ ვიქნებით ამ ბაზარზე. ინვესტიციების დიდი ნაწილი ასეთი გადათამაშებისას უმეტესწილად ევროკავშირსა და აშშ-ში წავა, თუმცა მცირე მოცულობები მაინც გადანაწილდება სხვა ქვეყნებზე (და ამ შემთხვევაში „მცირე“ პირობითია და შესაძლოა რამდენიმე ათობით მილიარდ დოლარსაც გულისხმობდეს). ამ სიტუაციაში საქართველოს ძირითადი კონკურენტები იქნებიან სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები (მაგალითად, უკრაინა, ყაზახეთი), ასევე თურქეთი, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალკანეთის ქვეყნები. კონკურენცია დიდი იქნება, თუმცა სწორი რეფორმების ეფექტიანად გატარებისა და კარგი პოზიციონირების შედეგად შესაძლოა მოგვეცეს სრულიად ახალი ინდუსტრიების განვითარების შანსი, რასაც ახალი ტექნოლოგიები და ბევრი სამუშაო ადგილის შექმნა მოჰყვება.

ისევე როგორც თურქეთის თხილის ბაზრის „გაუმჭვირვალობამ“ და დაკავშირებულმა რისკებმა საქართველოს 13 წლის წინ მისცა შანსი სრულიად „მოულოდნელად“ თხილის ექსპორტიორი გამხდარიყო, ხოლო ბევრ ქართველ ფერმერს სარჩო-საბადებელი მოეპოვებინა. 2021 წელს, სავარაუდოდ, ბევრ კომპანიას და პოტენციურ ინვესტორს დიდი რაოდენობის ნაღდი ფული დაუგროვდება, რომლის საპროცენტო განაკვეთი ნულთან ახლოს იქნება. ამერიკის ფედერალურმა ბანკმა, ინგლისის ბანკმა, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ისეთ დაბალ დონეზე დასწიეს განაკვეთები და დაიწყეს Quantitative easing (ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ფულის ბეჭდვა), რომ ეს პროცესი კიდევ დიდხანს შენარჩუნდება, რაც, დიდი ალბათობით, გამოიწვევს განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო ობლიგაციებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების თითქმის განულებას (შესაძლოა უარყოფითი საპროცენტო განაკვეთიც კი იყოს, როგორც ეს მოხდა რამდენიმე წლის წინ 2009 წლის კრიზისის შემდე ამ ფონზე ინვესტორებისთვის მცირე, მაგრამ დადებითი საპროცენტო განაკვეთიც კი საკმარისი იქნება ამ თანხების ნაწილის განვითარებად ქვეყნებში ჩასადებად - საბანკო დეპოზიტებზე და სხვა ტიპის ფასიან ქაღალდებში. ამ ვითარებაში ის ქვეყნები იხეირებენ ყველაზე მეტად, რომელთა ეკონომიკური კლიმატი, რეგულაციები და პოტენციური ზრდის ტემპი იქნება მეტად მისაღები ინვესტორთათვის. 2010 — 2011 წლებში სწორედ ასეთი ტიპის ინვესტიციები აღმოჩნდა მნიშვნელოვანი საქართველოს ეკონომიკის სწრაფი ტრანსფორმაციისთვის (2009 წლის მე-2 კვარტალში -9-პროცენტიანი ვარდნა გვქონდა, 2010 და 2011 წლები კი, შესაბამისად, ეკონომიკის +6.4 და +7.2-პროცენტიანი ზრდით დავასრულეთ). ასევე, 2010 და 2011 წლებში მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლიც (მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და სხვა). დიდი ალბათობით ახლაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ჩვენს რეგიონში სწორედ ეს ორგანიზაციები ითამაშებენ. თუმცა ამჯერად, გარდა კრედიტების გამოყოფისა, ალბათ სხვა ფორმულებიც უნდა შევთავაზოთ საფინანსო ორგანიზაციებს, როგორიცაა კაპიტალით თანამონაწილეობა ინვესტიციებში, ჴჴჴ პროექტებში გარანტორის როლის შესრულება (რაც შეამცირებს კერძო ინვესტორისთვის რისკს და, შესაბამისად, გაზრდის დაინტერესებულ ინვესტორთა რაოდენობას).

ასევე მნიშვნელოვანი იქნება, თუ შევძლებთ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ჩავრთოთ კერძო სექტორის ფასიანი ქაღალდების გამოშვებაში. ეს ინსტრუმენტი უნდა არსებობდეს არა მხოლოდ ბანკებისთვის, ისინი ისედაც უკვე ახორციელებენ ასეთ ტრანზაქციებს, არამედ სხვა ტიპის კომპანიებისთვის - მაგალითად, სამშენებლო, ენერგეტიკული, დიდი ქსელის მქონე სავაჭრო ან ტურისტული კომპანიებისთვის, რათა ამ კომპანიებმაც შეძლონ ფასიანი ქაღალდების გამოშვება, რადგან მაღალი მოთხოვნა და დაბალი პროცენტი სწორედ პორტფელურ ინვესტიციებზე იქნება 2021 წელს და არა პირდაპირ ინვესტიციებზე.რაც შეეხება პირდაპირ ინვესტიციებს, აქ საქართველოს ალბათ მოუწევს ინვესტიციების დროებითი დოლარიზაციის ფორმულის შემოღება, სადაც ინვესტიციის ნაწილი დოლარში იქნება დაზღვეული სხვადასხვა PPP ფორმულით, რომლის თანამონაწილეც სწორედ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები უნდა გახდნენ.

დაბოლოს, 2021 წელს, როგორც კი ახალი კორონავირუსის ვაქცინა იქნება შექმნილი და უკვე ხელმისაწვდომი, აუცილებლად მოხდება საფონდო ბაზრების მყისიერი ცვლილება. დღეს საქართველოს სუვერენული ევრობონდები 7-8 %-ში ივაჭრება და ამ ფონზე რაიმე დამატებითი ევრობონდების გამოშვება ალბათ არ არის მიზანშეწონილი. თუმცა ვაქცინის გამოშვების შემდეგ საერთაშორისო ბაზრები სრულიად შეიცვლება და განვითარებული ქვეყნების დაბალპროცენტიანი სესხების ფონზე საქართველოს 2-3%-იანი სესხიც ინვესტორებისთვის მიმზიდველი უნდა იყოს. ამ გზით შესაძლებელი იქნება 1 მილიარდი დოლარის მოზიდვა, მაგრამ ამისათვის მოსამზადებელი სამუშაოები დასაწყებია და 2020 წელი გადასალახი.

„რომ შევაჯამოთ, დიდი გამოწვევებისა და დიდი შესაძლებლობების ორი წელი გვაძვს წინ. როგორ გამოვალთ ამ გადანაწილებიდან - გრძელვადიანი ეკონომიკური კრიზისით, თუ რეგიონის ახალი ეკონომიკური ლიდერის სტატუსით - მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული (არავის სცალია ჩვენთვის, რომ ან ხელი შეგვიშალოს, ან პროვოკაციები მოგვიწყოს). ასეთი შესაძლებლობები ბევრჯერ არ მოგვეცემა და დიდი სურვილი მაქვს, საქართველო აქედანაც გამარჯვებული გამოვიდეს.“-წერს ნიკა გილაური.

მოამზადა
ხათუნა გენაშვილმა

როგორ დაინერგება საქართველოში ახალი ვაქცინა?

არ ახალია, რომ კოვიდ-19-ის პანდემიამ სხვა ყველაფერთან ერთად, შიში და გაურკვევლობაც მოიტანა. თუმცა, ამ ყველაფრის მიღმა, ყველას აინტერესებს, როგორია ახლადგამოჩენილი ვაქცინების სანდოობა, რით ავიცრებით და თუ ავიცრებით, რა რისკებთან და დადებით მხარეებთანაა ის დაკავშირებული.

ჯანდაცვის მინისტრის ეკატერინე ტიკარაძის განცხადებით, **„საქართველოში უახლოეს მომავალში მოსახლეობის აცრა „ფაიზერის“ ვაქცინით გახდება შესაძლებელი“**. სამინიტრომ ინფორმაცია ეკატერინე ტიკარაძის საქართველოში აშშ-ის ელჩთან შეხვედრის შემდეგ გამოაქვეყნა. **„ელჩთან მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა. ვისაუბრეთ პანდემიის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯებზე, ეპიდვითარებასა და ტესტირებაზე. შეხვედრის მთავარი თემა ვაქცინა იყო. ჩვენ „კოვაქს“ პლატფორმასთან აქტიურად ვთანამშრომლობთ და გვაქვს გარკვეული წინსვლა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში უახლოეს მომავალში მოსახლეობის აცრა „ფაიზერის“ ვაქცინით იქნება შესაძლებელი“**, - განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ. **„ძალიან სასარგებლო შეხვედრა გვქონდა, სადაც მივიღე განახლებული ინფორმაცია საქართველოს მთავრობის გეგმების შესახებ პანდემიის მართვის კუთხით 2021 წელს. ახლა ყველა ელის მჭიდრო კოორდინაციას ვაქცინაციის გეგმასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია ვაქცინაციის განხორციელების მკაფიო გეგმის არსებობა, არამხოლოდ საქართველოსა და აშშ-ში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით, იმისათვის რომ უზრუნველვყოთ ჩვენი საზოგადოების უსაფრთხოება და რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს ეკონომიკის აღდგენა, თუ სკოლების გახსნა“**, - ჯანდაცვის სამინისტროს პრესცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა, კელი დეგნანმა განაცხადა.

კორონავირუსის საწინააღმდეგო რომელ ვაქცინაზე მიუწვდებოდა ხელი საქართველოს, დამოკიდებული იყო კოვაქსის პლატფორმის არჩევანზე. **„საქართველომ უკვე გადარიცხა პირველი 4 მილიონი დოლარი covax პლატფორმაზე. ჩვენ დაკვეთილი გვაქვს 700 ათასი დოზა ვაქცინისა, უფრო სწორედ, 700 ათასი ადამიანის მოცვისთვის ანუ ორჯერ 700 ათასი [ვინაიდან ორჯერადად კეთდება ვაქცინაცია] და ეს სულ ჯდება 17 მილიონ დოლარამდე, პირველი შენატანი საქარველოს შეტანილი აქვს“** - განაცხადა ამირან გამყრელიძემ. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის ხათუნა ზახაშვილის განმარტებით, ჯერჯერობით მიმდინარეობს მსჯელობა რისკჯგუფების განსასაზღვრად. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, ესენი იქნებიან კოვიდის მძიმედ განვითარების რისკის მქონე ადამიანები. **„უპირატესად ხანდაზმულები, ქვეყნების მიხედვით ირჩევა ასაკი, რომლის მერე შეიძლება აირჩიოს ქვეყანამ [თუ ვის აცრის პირველად] თავისი ავადობის სტრუქტურის, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით. ზოგი ქვეყნისთვის ეს შეიძლება იყოს 70 წელზე ზევით, ზოგისთვის 65 წელს ზემოთ, ზოგი ქვეყნისთვის 60 წელს ზემოთ მოსახლეობისთვის. სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადების მქონე პირები ხანდაზმულ ასაკში, ასევე გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადების მქონე პირები ხანდაზმულ ასაკში ითვლებიან ერთ-ერთ პრიორიტეტად დღეისათვის“**, - ამბობს ხათუნა ზახაშვილი.

ცნობილია, რომ საქართველოს, ამ ეტაპზე, აქვს საშუალება დაასაწყობოს მინუს 80 გრადუსზე შესანახი ვაქცინის, ანუ „ფაიზერის“ 200 ათასი დოზა. რაც შეეხება სხვა, დაბალ ტემპერატურაზე შესანახ ვაქცინებს, როგორც პაატა იმნაძე, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე ეუბნება რადიო თავისუფლებას, ქვეყანას ასეთი ვაქცინის ანუ „ასტრაზენეკასა“ და „მოდერნას“ მილიონობით დოზის შენახვა შეუძლია.

საქართველოში კოვიდ-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის მიხედვით, ვაქცინისთვის სამიზნე მოსახლეობა და მოცვის ეტაპები ასე გამოიყურება:

1. ჯანდაცვის სექტორის მუშაკები;

2. ხანგრძლივი მოვლის დაწესებულების ბენეფიციარები და პერსონალი;

3. >75 ასაკის პირები;

4. 65-74 ასაკის პირები;

5. ესენციური (ძირითადი სერვისების) მიმწოდებლები;

6. 55-64 ასაკის მქონე პირები;

7. 18-54 ასაკის მქონე ქრონიკული დაავადებების მქონე პირები;

8. მოსახლეობის სხვა ჯგუფები;

საქართველოში კოვიდ-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის მიხედვით, შერჩეული ვაქცინის ეფექტურობა და მოსახლეობაში ბუნებრივი იმუნიტეტი (გადატანილი დაავადების შედეგად) განსაზღვრავს იმუნიზაციით მოსახლეობის საჭირო რაოდენობის დაფარვის მაჩვენებელს, რომელსაც ქვეყანამ უნდა მიაღწიოს რომ დაიცვას მოსახლეობა და გახსნას ეკონომიკა, ამიტომ 2021 წლის საორიენტაციო (და ამბიციური) სამიზნეა მოზრდილი მოსახლეობის დაახლოებით 60%-ის მოცვა ვაქცინით. ვაქცინაციისთვის შერჩეული დაწესებულებებია:

საავადმყოფოები:

***საკუთარი სამედიცინო პერსონალის ასაცრელად;**

***მოსახლეობის პრიორიტეტული ჯგუფების ასაცრელად;**

***-80◦C ვაქცინის შემთხვევაში მოხდება სპეციალურად შერჩეული დაწესებულებების მობილიზაცია;**

არსებული იმუნიზაციის კლინიკები:

***საკუთარი და მიმაგრებული სამედიცინო პერსონალის ასაცრელად;**

***პრიორიტეტული ჯგუფების და დანარჩენი მოსახლეობის ასაცრელად;**

მობილური ბრიგადები: ***ხანგრძლივი დაყოვნების დაწესებულებების ბენეფიციარები და მომვლელები;**

***ბინაზე მყოფი - არამობილური მოსახლეობის ასაცრელად;**

მასიური ვაქცინაციის ცენტრები – დიდ ქალაქებში:

***პრიორიტეტული მოსახლეობის ჯგუფების ასაცრელად;**

***ზოგადი მოსახლეობის ჯგუფების ასაცრელად;**

იმუნიზაციის შემდგომ განვითარებულ არასასურველ მოვლენებზე (იშგამ) ზედამხედველობა და მართვა განხორციელდება არსებული სისტემით, რომელსაც ქვეყანა 20 წელზე მეტია იყენებს. სისტემას-დოკუმენტაციას დაემატება შერჩეული ვაქცინის სპეციფიური ელემენტები და არსებულ რეგულაციებთან ერთად საჭიროების მიხედვით შემუშავებული იქნება დამატებითი რეგულაციები, გაფართოვდება იმუნიზაციის უსაფრთხოების ექსპერტთა ეროვნული კომიტეტი. ამოქმედდება აცრაზე ჩაწერის-რეგისტრაციის ონლაინ მოდული, აცრების რეგისტრაცია და ანგარიშგება მოხდება უკვე არსებული იმუნიზაციის მართვის ელექტრონული მოდულის საშუალებით, რომელიც 2013 წლიდან გამოიყენება. ვაქცინის მარაგების ეფექტურად სამართავად გამოყენებული იქნება იმუნიზაციის მარაგების მართვის შერჩეულ ვაქცინაზე მორგებული ელექტრონული მოდული, ელექტრონული სისტემის მინიმალური მოდიფიცირებით მოხდება: ვაქცინების ლოგისტიკის მონიტორინგი; იმუნიზაციის მომსახურების პროცესის მონიტორინგი, მოცვის მაჩვენებლების კუმულაციური ზრდის მონიტორინგი, მოცვის მაჩვენებლის შედარება დაგეგმილ მაჩვენებელთან, ეპიდზედამხედველობა განხორციელდება უკვე არსებული დაავადებათა ზედამხედველობის ერთიანი ელექტრონული სისტემის (დზეის) საშუალებით, რომელიც უკვე გამოიყენება COVID19-ის ზედამხედველობის მიზნებისთვის. საქართელოში კოვიდ-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსები წინასწარი შეფასებით ასე გამოიყურება: **მინიმალური ღირებულება - 64,333,622 მლნ ლარი, მაქსიმალური ღირებულება - 185,190,234 მლნ ლარი.**

რამდენად არის მზად ქვეყანა კოვიდ-19-ის ვაქცინის გეგმის დანერგვისთვის?

ამავე გეგმაში აღნიშნულია, რომ მომზადებულია ვაქცინის დანერგვის დეტალური გეგმა შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით. ქვეყანა რეგისტრირებულია კოვაქსის პლატფორმაზე და გადახდილი აქვს პირველი შენატანი 1.4 მილიონ დოზის მისაღებად მოსახლეობის 20%-ისთვის, ქვეყანას აქვს გამართული რუტინული იმუნიზაციის სისტემა შესაბამისი ცივი ჯაჭვით. იმუნიზაციის პროგრამა არის სახელმწიფო პრიორიტეტი: ბოლო 8 წელიწადში იმუნიზაციის ბიუჯეტი ქვეყანაში გაიზარდა დაახლოებით 6-ჯერ და გეგმიური ვაქცინაციისთვის ქვეყანა ყიდულობს მხოლოდ ჯანმოს პრეკვალიფიცირებულ ვაქცინებს.

ბოლო წლებში ქვეყანაში დანერგილია 4 ახალი ვაქცინა და შესაბამისად, რამოდენიმეჯერ გადამზადდა იმუნიზაციის პროგრამის პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებები და ადამიანური რესურსი, ჩამოყალიბდა პარტნიორობა იმუნიზაციის პროგრამასთან დაკავშირებით საერთაშორისო პარტნიორებთან WHO, UNICEF, GAVI, COVAX, WB, USAID, ADB და სხვა.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ვაქცინის მოლოდინში !

კომპანია	III ფაზის მონაწილეები	მონაწილეთა ასაკი	მიწოდების სავარაუდო დაწყება	შეთანხმებები მიწოდებაზე	სრული მოცულობა	შენახვის ტემპ.	სავარაუდო ფასი	კომენტარი
Pfizer (აშშ) და BioNTech (გერმანია)	43,000	მოზრდილები (>18) და ბავშვები (12-18 წ.)	2020 დეკემბერი	აშშ (100 მლნ დოზა, დამატებით - 500 მლნ.), ევროკავშირი (200 მლნ დოზა), იაპონია (120 მლნ)	1.3 მლრდ. დოზა	-80°C	$20	სავარაუდოდ, 90% ეფექტურობა
Moderna და NIH (აშშ)	30,000	მოზრდილები (18-55) და ასაკოვნები (>65 წ.)	2021	აშშ (100 მლნ. დოზა), ყატარი, კანადა, იაპონია, COVAX	500 მლნ - 1 მლრდ. დოზა	-20°C, 1 კვირა +2+8°C	$15	კარგი ეფექტი და მისაღები გვერდითი ეფექტები ადრეულ ეტაპებზე
AstraZeneca (შვედეთი-ბრიტანეთი) და ოქსფორდის უნივერსიტეტი (ბრიტანეთი)	50,000	მოზრდილები (18-55) და ასაკოვნები (>55 წ.)	2021 იანვარი	აშშ (300 მლნ. დოზა), ევროკავშირი 400 მლნ დოზა), COVAX	2 მლრდ. დოზა	+2+4°C,	$4-6? (COVAX - $3)	2-ჯერ შეჩერდა სერიოზული გვერდითი ეფექტის გამო. სავარაუდოდ, აქვს კარგი ეფექტი მოზრდილებში და ასაკოვან პირებშიც, თან - ამ უკანასკნელებში დაბალი გვერდითი ეფექტები
Novavax (აშშ)	15,000	მოზრდილები (18-65) და ასაკოვნები (>65 წ.)	2021	აშშ (100 მლნ.დოზა), ავსტრალია (40 მლნ დოზა),	500-600 მლნ. დოზა	+2+8°C	$16? (COVAX - $3?)	მესამე ფაზა დაგვიანებით დაიწყო
Johnson & Johnson (აშშ)	60,000	მოზრდილები (18-60) და ასაკოვნები (>60 წ.)	2021	აშშ (100 მლნ. დოზა), ევროკავშირი (200 მლნ დოზა)	1 მლრდ. დოზა	3 თვე +2+8°C, 6 თვე -20C	$10	შეჩერებული იყო

ვაქცინების არჩევანი და გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა დაეყრდნოს დამაჯერებელ მტკიცებულებებს, როგორც ეფექტურობის, ასევე უსაფრთხოების კუთხით. გარკვეულწილად, ის რომ ჩვენთან ვაქცინების რამდენიმე თვის დაგვიანებით შემოვა, ამ ორივე პარამეტრში უკეთ გარკვევის დროს გვაძლევს - პირველივე თვეების განმავლობაში გამოჩნდება ახალი ინფორმაციები, რომელიც ინფორმირებული არჩევნის თავისუფლებას გაგვიზრდის.

რა თქმა უნდა, ვაქცინის მოლოდინი არ ნიშნავს, რომ ჩვენ სიფხიზლე უნდა მოვადუნოთ და პირბადეების ტარებას და დისტანცირების დაცვას თავი დავანებოთ. პირიქით, ახლა გვმართებს განსაკუთრებული მონდომება, რომ ბოლომდე დავიცვათ რეგულაციები იმ მომენტამდე, როცა საქართველოშიც გვექნება ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ ეფექტური ვაქცინაციის შესაძლებლობა. სავარაუდოდ, ეს 2021 წლის ზაფხულიდან იქნება შესაძლებელი. ვაქცინების რაოდენობა უკვე 2021 წლის დასაწყისში 300-500 მილიონი დოზა იქნება, და თუ ამის აუცილებლობა იქნება, 2021 წლის ბოლომდე 4-6 მილიარდ დოზას მიაღწევს, ასე რომ მისი დეფიციტი მოსალოდნელი არ არის.

როგორც ამბობენ - იმედი ძალიან კარგია, მაგრამ ზედმეტი აჟიტირება ისევე სახიფათოა, როგორც პესიმიზმი და უიმედობა. გავმხნევდეთ იმის ცოდნით, რომ 166 ვაქცინის 10 თვიანი ეპოპეა ფინიშის ხაზს უახლოვდება, სადაც სულ ათიოდე ლიდერი შემორჩა. მათი წარმატებების ობიექტური ინფორმაცია მალე გამჭვირვალედ გამოქვეყნდება და კრიტიკულად შეფასდება.

მოვიკრიბოთ სიმშვიდე და შევინარჩუნოთ საზოგადოების ჯანმრთელობა იმ მეთოდებით, რაც ამჟამად გაგვაჩნია. მანამდე კი, ვისაც ეს გვეხება, გავიკეთოთ გრიპის ვაქცინაცია, ვატაროთ პირბადე, დავიცვათ დისტანცირება. დავიცვათ ჩვენი თავი და ახლობლები. გავუფრთხილდეთ ერთმანეთს! გადარჩენა მხოლოდ სოლიდარობით შეგვიძლია.

დისტანციური სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები

პანდემიამ, სხვა მნიშვნელოვან გამოწვევებთან ერთად, საგანმანათლებლო სისტემაშიც ბევრი პრობლემა შექმნა. სკოლებში გაკვეთილები კვლავაც ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობს. ამიტომ, როდის მიუსხდებიან მოსწავლეები საკლასო მერხებს, ეს ეპიდვითარებაზეა დამოკიდებული. ჩვენს სამყაროში არაფერი და არავინაა იდეალური, უნაკლო, სრულყოფილი. ნებისმიერ ადამიანში, ნებისმიერ მოვლენაში დადებითის გვერდით მეტნაკლებად ყოველთვის გვხვდება უარყოფითიც. ძლიერი მხარეების გვერდით ვაფიქსირებთ სუსტ მხარეებსაც. გამონაკლისს ამ მხრივ არ წარმოადგენს არც დისტანციური სწავლება, რომლის ამა თუ იმ ფორმით გამოყენება ჩვენს განათლების სისტემაში დღეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა.

სკოლაში სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე, დისტანციური სწავლების სხვადასხვა ფორმების გამოყენების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად იცვლება. ასე, მაგ; ონლაინ გაკვეთილი სკოლის დაწყებით საფეხურზე და სწავლების მეორე და მესამე საფეხურზე სრულიად განსხვავებული შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებით მეტი სირთულეები შეინიშნება პირველ-მეორე კლასელებთან ონლაინგაკვეთილების ჩატარების დროს, გამომდინარე ამ ასაკის ბავშვების ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან. სწავლების დაწყებით საფეხურზე ბავშვის აზროვნებას თვალსაჩინო საყრდენი სჭირდება. გარდა ამისა, ადამიანს ამ ასაკის ბავშვი მაშინ აღიქვამს მასთან მყოფად, როცა ხედავს და ელაპარაკება. ალბათ, ყველას შეგიმჩნევიათ, როგორ უჭირს პატარას ტელეფონით საუბარი ყველაზე ახლობელ ადამიანთანაც კი, როცა ის მას ვერ ხედავს და ვერ ეხება. თუმცა, იმავე ონლაინგაკვეთილებს სასკოლო სწავლების მეორე და მესამე საფეხურზე ბევრი მოსწავლე დიდი მოწონებით შეხვდა. დისტანციურ სწავლებაზე საუბრისას, მის ძლიერ მხარეებსა და დადებით მომენტებზე ყურადღების გამახვილებასთან ერთად არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რაც შეიძლება ერთგვარ დაბრკოლებად მოგვევლინოს აღნიშნული ფორმით სწავლა—სწავლების პროცესში: უპირველეს ყოვლისა, დისტანციური სწავლების დროს არსებობს ერთგვარი ასაკობრივი შეზღუდვები და მისი გამოყენება ნებისმიერი ასაკის ბავშვთან ერთნაირი ეფექტურობით ვერ მოხერხდება; დისტანციური სწავლებისას, დროში შეზღუდულობისა და ხანმოკლე ონლაინგაკვეთილების ჩატარების გამო, შეუძლებელი ხდება იმ სასწავლო პროგრამის სრულყოფილად გავლა, რომლითაც პედაგოგები რეალურ საკლასო გარემოში ხელმძღვანელობდნენ. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დისტანციური სწავლების შემთხვევაში საჭირო გახდება სასწავლო პროგრამების სერიოზული მოდიფიცირება;

კომპიუტერულ ტექნიკაზე მიჯაჭვულობის გაძლიერება დისტანციური სწავლების დროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს. თუ აქამდე მშობლები კომპიუტერთან გატარებულ საათებსა და წუთებს უთვლიდნენ მოზარდს, ხშირად უთიშავდნენ და უმალავდნენ კიდეც კომპიუტერულ ტექნიკას, რომ როგორმე დაეცვათ შვილი ტექნიკის უარყოფითი გავლენისაგან, ახლა თავად მოითხოვენ ბავშვისაგან, რომ ჩართოს კომპიუტერი, დაესწროს ონლაინგაკვეთილს, მოამზადოს დავალებები. კომპიუტერული ტექნიკის ასეთი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სისტემატური მოხმარება დროთა განმავლობაში აუცილებლად ჰპოვებს უარყოფით ასახვას ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე;

დისტანციური სწავლების ერთ-ერთ სისუსტედ შეიძლება ისიც ჩაითვალოს, რომ სწავლების ეს ფორმა ბავშვის სოციალური, ემოციური და ფიზიკური განვითარებისთვისაც კი შეიძლება სერიოზულ ხელისშემშლელ ფაქტორად მოგვევლინოს, განსაკუთრებით დღეს, როდესაც სოციალური კონტაქტების წრე და ფიზიკური აქტივობის შესაძლებლობა საკმაოდ შეზღუდული გვაქვს დიდსაც და პატარასაც.

და კიდევ არსებობს საკითხები, რომლებიც დღემდე მოუგვარებელია. მათ შორის ის, რომ მოსწავლეების გარკვეულ ნაწილს, დღემდე არ აქვს საშუალება, საგაკვეთილო პროცესში ჩაერთოს. გთავაზობთ, განათლების სისტემის გამოწვევებსა და დისტანციური სწავლების შესახებ ხშირად დასმულ კითხვებზე პედაგოგთა პასუხებს:

რომელია ის მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელთა წინაშეც სკოლები დისტანციურმა სწავლებამ დააყენა?

სწავლების პროცესის შეფერხება, ხარისხის გაუარესება, განათლების მიღმა დარჩენილი მოსწავლეები... არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი მოსწავლე დარჩა საგაკვეთილო პროცესის მიღმა. ერთიც რომ იყოს, საშწუხაროა და შემაშფოთებელი, რადგან ახლა გამოჩნდა, რომ სიღარიბე მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ბარიერი ყოფილა, რომ განათლების ხელმისაწვდომობა მითია. სკოლები უნდა დაფიქრდნენ ადამიანურ რესურსებზეც: რამდენი მასწავლებელი ფლობს ტექნოლოგიებს. საჭირო გახდა პროგრამებისა და კურიკულუმების მოდიფიკაცია, რესურსების, სასწავლო მეთოდების, მიდგომების გადარჩევა.

გასული სასწავლო წლის ბოლოს დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა იყო მოულოდნელი და შესაბამისად, სკოლები ნაკლებად იყვნენ მზად ამ სიახლისთვის. თუ გაითვალისწინა განათლების სისტემამ და სახელმწიფომ არსებული სიტუაცია და თუ მიმართა მეტი რესურსი იმისკენ, რომ 2021 სასწავლო წელს სასწავლო პროცესი უფრო ხარისხიანად წარმართულიყო?

ძალიან მოულოდნელი იყო სკოლებისთვის ვითარების ამგვარი შემოტრიალება, ეს იყო შოკის მსგავსი რეაქცია, ამიტომ, ოღონდ სისტემა არ ჩამოშლილიყო, სახელმწიფომ მასწავლებელს მისცა საშუალება, როგორც უნდოდა, როგორც ხელეწიფებოდა, იმგვარად წარემართა სასწავლო პროცესი, არ შეზღუდა ერთი რომელიმე პლატფორმით და მასწავლებლებმაც აითვისეს: zoom, feedc, messenger, facebook-ში შეიქმნა სასწავლო ოთახები... წარმოუდგენლად დიდი მუშაობა გასწია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ, რომელმაც გამართა და სკოლებს შესთავაზა სასწავლო პლატფორმა Teams, შეიქმნა ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის ელექტრონული ფოსტა, პაროლები, შეიქმნა ყველა კლასისთვის სასწავლო ჯგუფები... სექტემბრიდან კი სკოლების უმრავლესობამ აითვისა ეს სასწავლო პროგრამა და მუშაობს მასში. გარდა ამისა, ტელე-სკოლა გამოჩნდა ჩვენს სატელევიზიო სივრცეში და გაჩნდა იმის მოლოდინიც, რომ სხვა დროსაც, პანდემიის შემდეგ, ექნებათ ჩვენს მოსწავლეებს კარგი, მათ ინტერესებზე მორგებული სასწავლო სივრცე.

ჩვენ გვაქვს არაერთი მაგალითი, რომ მოსწავლეების გარკვეული ნაწილი სასწავლო პროცესში ვერ ერთვება, მათ შორის, გაუმართავი ტექნიკის ან ტექნიკის საერთოდ არქონის გამო. რა უნდა გაკეთებულიყო ამ მიმართულებით, ან უნდა გაკეთდეს მომავალში, რომ მსგავს გამოწვევებს უფრო მომზადებული შეხვდეს სისტემა?

საერთაშორისო კვლევის თანახმად, პანდემიის პირობებში განვითარებული ქვეყნების მოსწავლეთა 20% და განვითარებადი ქვეყნების მოსწავლეთა 68% დარჩა განათლების მიღმა. ეს მრუმე სურათია. თუ სოციალური სიტუაცია არ გამოსწორდება, თუ სიღარიბე არ დაიძლევა, ტექნიკური აღჭურვილობის გადაცემა მოსწავლეებისთვის ან ინტერნეტის ყიდვა იქნება კარგი, თუმცა, არა ის ინსტრუმენტი, რომელიც აღმოფხვრის ამ პრობლემებს. სახელმწიფოს შეუძლია შეამსუბუქოს მდგომარეობა იმით, რომ სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისთვის ინტერნეტი გახადოს ხელმისაწვდომი ან ათხოვოს, გადასცეს სკოლის კომპიუტერული ტექნიკა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ვაღიაროთ, რომ სიღარიბე ამუხრუჭებს ადამიანის განვითარებას, მის სრულფასოვან განათლებას, თუნდაც ჩვეულებრივ დროს, პანდემიის გარეშე.

პრობლემა აქვს არა მხოლოდ მოსწავლეების, არამედ მასწავლებლების ნაწილსაც. ძირითადად, რა უქმნის მასწავლებლებს ამ პრობლემებს და როგორ უნდა გადაილახოს ისინი?

მასწავლებლების ნაწილს მიაჩნდა, რომ სრულფასოვანი განათლების მისაცემად ტექნოლოგიები და ელექტრონული, ციფრული რესურსები არ იყო აუცილებელი. მათ მიიჩნევდნენ დამხმარე რესურსებად და ჰქონდათ, გარკვეულწილად, შიშიც ტექნოლოგიებისა, ამიტომ ნაკლებად იყენებდნენ საგაკვეთილო პროცესში. არც იყო მოთხოვნა მოსწავლეების, ადმინისტრაციის ან მშობლების მხრიდან, რომ მასწავლებელს აუცილებლად გამოეყენებინა ციფრული ტექნოლოგიები სასწავლო პროცესში, ამიტომ მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი აღმოჩნდა გამოწვევის წინაშე. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ პროცესი გაუმჯობესებისკენ ნელა, მაგრამ მაინც მიიწევს. ახლა მასწავლებლებს სჭირდებათ მხარდაჭერა ტრენინგების, გადამზადების სახით, რომ გაიუმჯობესონ თავიანთი უნარები ტექნოლოგიებში.

ჩაუტარდათ თუ არა მასწავლებლებს ონლაინ-ტრენინგები ტექნიკასთან ურთიერთობისა და ონლაინ-გაკვეთილის წარმართვის თავისებურებებთან დაკავშირებით და თუ ჩატარდა, რამდენად ეფექტიანი აღმოჩნდა?

ტრენინგები ტარდება და საკმაოდ ეფექტიანია. მაინც მასწავლებლის მონდომებასა და უნარებზეა დამოკიდებული შედეგი, აგრეთვე, როცა საკლასო ოთახებში განახლდება პროცესი, ტექნოლოგიების გამოყენება უნდა იყოს გარკვეულწილად სავალდებულო, ვინაიდან 21-ე საუკუნის მოსწავლე ითხოვს ამას და წიგნი არ არის მისთვის ერთადერთი სასწავლო რესურსი, უფრო სახალისო რამ უნდა შევთავაზოთ.

რამდენად ხერხდება, რომ ონლაინგაკვეთილი იყოს ინტერაქტიული და მოსწავლემ თავისი ცოდნის გამოვლენა ან ცოდნის მიღება მაქსიმალურად შეძლოს?

ყველაფერი ფარდობითია. ესეც მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთდამოკიდებულებებზე, უნარებზეა დამოკიდებული. გვინახავს სასწავლო სივრცეში ჩატარებული ერთფეროვანი, ლექციური სტილის გაკვეთილები და, ამავე დროს, ონლაინსივრცეში ჩატარებული ინტერაქტიური გაკვეთილებიც. მთავარია ეფექტურად დაიგეგმოს გაკვეთილები და მასწავლებელმა შექმნას თანამშრომლობითი გარემო.

ვინ უწევს მონიტორინგს ონლაინსწავლების პროცესს?

მონიტორინგს უნდა უწევდეს დირექცია, ვინაიდან დირექტორი არის პასუხისმგებელი სასწავლო პროცესზე, ხარისხიანი გაკვეთილების ჩატარებაზე, მოსწავლეების აკადემიურ დონეზე. მონიტორინგიც გართულდა, თუმცა სხვადასხვა გზით შეიძლება დაკვირვება და შეფასება მიმდინარე პროცესზე, ეს შეიძლება იყოს ონლაინდასწრება გაკვეთილებზე, მასწავლებელთა თვითშეფასება და მოსწავლეების, მშობლების გამოკითხვა, ინტერვიუები...

ფაქტია, რომ ზოგ მშობელსაც არ აქვს ის უნარები, რომლებიც საჭიროა პროცესში მისი მაქსიმალურად ჩართვისთვის. რა რეკომენდაციები გექნებათ თქვენ ამ მიმართულებით?

მშობელს, ჩვენს სიტუაციაში, ბევრს ვერაფერს მოვთხოვთ, ისევ და ისევ მძიმე სოციალური პირობების გამო. ფაქტობრივად, მშობლები ფიზიკურად ვერ არიან შვილების გვერდით და თუ არიან, შესაძლოა, ვერც ეხმარებოდნენ. საერთოდ, მშობლების ჩართულობას შვილების სასწავლო პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მათი აკადემიური მოსწრებისთვის. რადგან ეს ხშირად არ ხერხდება, სკოლამ უნდა აიღოს თავზე მშობლების ინფორმირებულობა, ე.წ. მათი პედაგოგიზაცია და მათი ჩართულობის გაზრდაც.

ქალაქის სკოლების პირობებში დისტანციური სწავლება, ინტერნეტიზაციის გათვალისწინებით, შედარებით ნაკლები პრობლემებით მიმდინარეობს. გაცილებით რთულად დგას საკითხი იმ დასახლებულ პუნქტებში, რომლებშიც ინტერნეტის პრობლემაა. გარდა ამისა, პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა სიტუაციამ უფრო მეტი ადამიანი გახადა გადახდისუუნარო. რა უნდა ქნას ამ დროს სახელმწიფომ, როგორ შეამციროს რისკი, რათა დისტანციურ სწავლებაზე მოსწავლეების მაქსიმალურ რაოდენობას მიუწვდებოდეს ხელი?

მაღალმთიან რაიონებში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა, შესაძლოა სკოლამ, საკრებულომ ,,ათხოვოს“ მოსწავლეებს გაჯეტები, შეუძინოს სახელმწიფომ ინტერნეტი ან გარკვეული შეღავათები დაუწესოს.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ჩვენთან ჯერაც ნაკლებად პოპულარულია, მით უფრო, რეგიონებში. ხომ არ გაქვთ დადებითი მაგალითის შესახებ ინფორმაცია?

სამწუხაროდ, არ მაქვს ინფორმაცია. სკოლებს შეუძლიათ ამ მხრივაც გაშალონ საქმიანობა და წარმატებულ კურსდამთავრებულებს ან თემში არსებულ მდიდარ ადამიანებს სთხოვონ დახმარება, რომ მათ აიღონ თავზე რომელიმე მოსწავლის პრობლემების მოგვარება.

მრავალი უარყოფითი რამ სდევს დისტანციური სწავლების პროცესს: გაჯეტებს მიჯაჭვული ადამიანები, ნაკლები ფიზიკური აქტივობა, სხვადასხვა დაავადება და ა.შ. დისტანციურ სწავლებას გარკვეული ფსიქოლოგიური გამოწვევებიც ახლავს. მაგალითად: საკლასო ოთახში მასწავლებელი და მოსწავლეები ერთმანეთთან სხვების თანდასწრების გარეშე ურთიერთობენ, ვირტუალური გაკვეთილების დროს კი, ხშირ შემთხვევაში, ესრებიან მშობლები, მასწავლებლის ოჯახის წევრ(ებ)ი, ან ოთახი, საიდანაც ერთვებიან, არ არის იზოლირებული და ვერ იქმნება გაკვეთილისთვის შესაბამისი გარემო. უშლის, თუ - არა ეს ხელს ხარისხიანი გაკვეთილის ჩატარებას?

არის გარკვეული ხელისშემშლელი პრობლემები, მაგრამ დადებითი და პოზიტიურიც ახლავს ამ პროცესს: ოჯახმა, მშობელმა აღიარა მასწავლებელი, სკოლა და მათი მნიშვნელობა შვილის აღზრდის საქმეში. გარდა ამისა, მათ უკეთ დაინახეს თავიანთი შვილების შესაძლებლობებიც.

რომელი საგნის გაკვეთილების დისტანციურად ჩატარებაა ყველაზე რთული და ნაკლებეფექტიანი?

არც ერთ საგანს არ/ვერ გამოვყოფდი. პრინციპში, ყველა საგნის ჩატარება შეიძლება ონლაინ. თუნდაც - სპორტისა, თავისი ვარჯიშების ჩვენებით, სახალისო ვიდეორგოლების შექმნითა და დემონსტრირებით.

კვლევების შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოში მოსწავლეების ცოდნის დონე საკმაოდ დაბალია. ასევე ხშირად კრიტიკულად ფასდება მასწავლებლების მომზადების დონეც. თუ 10-ბალიან სისტემას ავიღებთ, რამდენი შეიძლება იყოს საქართველოში დისტანციური სწავლებით მიღებული ცოდნის, ასევე - მასწავლებლების მიერ ჩატარებული დისტანციური გაკვეთილებიც საშუალო დონე?

ორივე შემთხვევაში შევაფასებდი 5 ქულით. ეს ის ქულაა, რომელიც ადასტურებს, რომ ჩვენ ავითვისეთ ესა თუ ის დისციპლინა, გადავლახეთ ზღვარი, მაგრამ ეს არ არის ხარისხიანი განათლება, რომელიც კონკურენციის პირობებში გაგვამარჯვებინებს.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

ვირტუალური სკოლა პანდემიისას

2020 წლის 21 ნოემბრიდან -20 დეკემბრის ჩათვლით ევროკავშირის დელეგაციისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი ,,ვირტუალური საკვირაო სკოლა”ამ ინიციატივის მთავარი მიზანი იყო ახალგაზრდების გათვითცნობიერება ევროპული ღირებულების შესახებ და ევროპის შსახებ გაბატონებული მითების მსხვრევაში.ასევე პროექტი დაეხმარათ მოსწავლეებს სწორად აღიქვან საკუთარი მოქალაქეობრივი როლი.სამიზნე ჯგუფი იყო:ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, ყაზბეგის, ქედას, შუახევის, ბორჯომის,თეთრიწყაროს,ახალქალაქისა და ხულოს მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლის უფროსკლასელები.

პროექტი განხორციელდა ვირტუალური ფორმით:ზუმის პლატფორმით.

„ვირტუალური საკვირაო სკოლის” წევრები მოხარულები ვართ,რომ საშუალება მოგვეცა ვყოფილიყავით ამ პროექტის მონაწილეები და მოგვესმინა საინტერესო ადამიანებისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე,როგორიცაა მაგალითად ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა. ჩვენ გავიგეთ, რომ ეს ძალიან მჭიდრო და პოზიტიური ურთიერთობაა. მისი მიზანი საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაციაა. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ჩვენი, აქტიური და მონდომებული ახალგაზრდების მონაწილეობა რეგიონებიდან, რომლებიც მოსახლეობას გავაცნობთ ევროკავშირთან ასოცირების პროცესში მოსალოდნელ სარგებელს.

მოვისმინეთ საინტერესო გამოსვლა მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური გავნვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობის უფლებას, ისარგებლონ მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებით და გარემოთი.

„საკვირაო სკოლიდან” ასევე გავიგეთ თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს განათლებას ქვეყნის განვითარებისთვის და რაოდენ მნიშვნელოვანია პროფესიის სწორად არჩევა, საკუთარი უნარების, ინტერესები და ღირებულებების გათვალისწინებით. ის რომ ევროკავშირში არსებობს მთელი რიგი სწავლისა და მობილობის შესაძლებლობები.

პერსონალური ტრენერები გვესაუბრნენ ჯანსაღი ცხოვრების წესზე და მის მნიშვნელობაზე ზოგადად ცხოვრებაში და განსაკუთრებით დღევანდელ დღეს, როცა მთელი მსოფლიო ვდგავართ უდიდესი პანდემიის, ცოვიდ-19-ის პირისპირ.

მოვისმინეთ, რომ ევროკავშირისთვის გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება უმნიშვნელოვანესი ფასეულობებია და ,,ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ქმედითი ბრძოლა ევროკავშირის მხრიდან ქართველებისთვის გაწეული დახმარების ნაწილია.”

გავიგეთ, რომ ლიდერობა უპირველესად იდეის რწმენა და მისი სხვებისთვის გაზიარების უნარია. გვესაუბრნენ მედიის გავლენაზე სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, რომ ევროკავშირი თავისუფალი მედიის დამცველი და მხარდამჭერია. ამ პროექტის წარმატებულ მონაწილეებს შორის არიან:

ბრეინ რინგი - ფინალი, პირველი ადგილი (გიორგი ხუციშვილი, ანი ფიროსმანიშვილი, ვაკო ვარდიაშვილი, თამარ ხარხელაური, თამუნა ნანობაშვილი).ფოტოკონკურსი-მარიამ მხეიძე (პირველი ადგილი)

ესეების კონკურსი - ანა ბუჩუკური (მეორე ადგილი)

ყველაზე აქტიურ მონაწილედ დასახელდა გიორგი ხუციშვილი, რომელიც თვითონ აკეთებდა ყოველი დღის შესახებ მიმოხილვას.ყველაზე აქტიურ და პასუხისმგებლიან მონაწილეებად,რომლებიც თავის თავზე იღებდნენ ხშირად დავალებებს,ესენი იყვნენ ჯაბა ჯამასპიშვილი და თამარ ხარხელაური..

„ვირტუალური საკვირაო სკოლა” დაგვეხმარა მოგვეღო მეტი ცოდნა და გამოცდილება, რაც დაგვეხმარება გავხდეთ აქტიური მოქალაქეები და ჩავერთოთ სამოქალაქო საქმიანობებში. ამ პროექტმა მეტი ახალი ურთიერთობა მოგვიტანა და გუნდური მუშაობა გვასწავლა.

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენი გუნდის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნონა ტოკლიკიშვილს, რომელმაც ხელი შეგვიწყო, რომ ამ პროექტის აქტიური მონაწილეები ვყოფილიყავით.

მარიამ სამუკაშვილი

,,ვირტუალური საკვირაო სკოლის” მონაწილე, სსიპ ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე

ლეილა მანაგაძე-თეთვაძე

ჩვენო ძვირფასო ლეილა, შესრულდა სამი წელი, რაც დაგვტოვე და განისვენებ სხვა სამყაროში. ადამიანი, როდესაც სიკეთით სავსეა და კარგ შთამომავლობას დატოვებს ამ ქვეყანაზე, ის ყოველთვის იმარჯვებს სიკვდილზე. შენ სიკვდილმა ვერ დაგამარცხა, რადგან ამ სამყაროში დატოვე შენი შექმნილი მტკიცე ოჯახი. სოფელ სამრეკლოში ხელმძღვანელ ორგანოებში მუშაობის რვა წლის მანძილზე ბევრი სასიკეთო საქმე გაქვს გაკეთებული. მრავალი ახალგაზრდა დააოჯახე, სოფელში ბევრ ოჯახს შიდა კონფლიქტი მოუგვარე. სიცოცხლის ბოლო წლებში, პედაგოგიური მოღვაწეობისას, მრავალი ახალგაზრდა აღზარდე და მიეცი ცხოვრების საგზური. შენ აღზარდე და ცხოვრების გზაზე გაიყვანე შვილები, რომლებმაც შექმნეს სანიმუშო ოჯახები და წარმატებით შრომობენ ქვეყნის სასიკეთოდ. დიდი წვლილი მიგიძღვის სამი შვილიშვილის აღზრდაში. მათაც შექმნეს ოჯახები და ზრდიან შვილებს ყოველგვარი დახმარების გარეშე. შენი შვილთაშვილებიდან ორნი პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები არიან, ხოლო მესამე ზურიკო, წელს წავა სკოლაში. შენ, როგორც ტრადიციების მიმდევარს,გაგიხარდებოდა,რომ შეგვეძინა მეექვსე შვილთაშვილი,რომელიც ატარებს შენი მეუღლის სახელს. პატარა შალვა უკვე ორწლინახევრისაა. ძნელია, როცა ოჯახი, შენი სახით კარგავს ერთგულ მეუღლეს, ძვირფას მშობელ დედას და საყვარელ ბებოს. ალბათ ესეც ცხოვრების კანონზომიერებაა.

ჩვენი ოჯახის თითოეული წევრი არასოდეს დაივიწყებს შენს ამაგს. მუდამ ემახსოვრები და პატივს მიაგებს შენს ხსოვნას. ნათელში იყოს შენი სული, ილოცე ჩვენთვის.

შენი ოჯახი

ცისანა მჭედლიშვილი-ქადაგიძე

უკვე ორმოცი დღე გავიდა, რაც მარადისობაში გადაინაცვლე, ჩემო კოლეგავ, ძვირფასო და სულიერო მეგობარო, ჩემო ტკბილო, ერთგულო და საყვარელო ადამიანო. კოვიდ-19-მა იმსხვერპლა შენი სიცოცხლე. ასაკის მიუხედავად, სიცოცხლის ხალისი არასოდეს დაგიკარგავს. გვამხნევებდი შენს გარშემო მყოფებსაც. შენს სანახავად გამარჯვებიდან თითქმის ყოველ კვირა გამოვდიოდი, რადგან შენთან ურთიერთობა ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. ბევრი გვქონდა მოსაგონარი, ტკივილისა თუ სიხარულის გასაზიარებელი, ჩვენ ხომ მთელი შეგნებული ცხოვრება ერთად გავიარეთ, ვმეგობრობდით ოჯახებით. ახლა კი წახვედი და შენსკენ მომავალი გზა გაქრა, მხოლოდ მოგონებები დამრჩა. თვალწინ მიდგახარ მაღალი, ტანადი, მომღიმარი სახის, დახვეწილი გემოვნებით ჩაცმული, მთელ სკოლაში შენი ხმა ისმოდა, ხმა, ყველასგან განსხვავებული, სულ ალერსი რომ იყო მასში ჩაქსოვილი. შენი დეკლამატორული ნიჭით ხიბლავდი ყველას. შენს მიერ ჩატარებული ღონისძიებები გამორჩეული იყო და იზოლდი გურაშვილთან ერთად, რომელმაც უფრო ადრე დაგვწყვიტა გული, არაჩვეულებრივ სანახაობებს აწყობდით როგორც თემატურად, ასევე ვიზუალურად. არაერთი შეხვედრა ჩარჩათ მეხსიერებაში სამუდამოდ შენს გამოზრდილ თაობებს, მათ მშობლებს და კოლეგებს, რომლებიც მუდამ აღიარებდნენ შენს პედაგოგიურ ნიჭს და ნოვატორულ ხასიათს. შენს გაკვეთილებს ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ერთად, ხშირად ესწრებოდნენ განათლების სამინისტროს და დახელოვნების ინსტიტუტიდან ჩამოსული სპეციალისტები, რომლებიც ერთხმად აღიარებდნენ შენს გამორჩეულ ხედვას პედაგოგიკაში. ამიტომაც მოგენიჭა მეთოდისტის წოდება. დაუთვლელია შენს მიერ მოპოვებული დიპლომები, სიგელები და მადლობები მასწავლებელთა რესპუბლიკურ კონფერენციებზე. მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, შენც დატოვე სკოლა. გრანდიოზული გაცილება მოგიწყვეთ, მოგეფერეთ კოლეგები, სცენაზე კი შენი ყოფილი კლასი „გრიალებდა“ ლექსებითა და სიტყვებით, შენი ხელი აშკარად ეტყობოდათ. თვალზე ცრემლმორეულმა საკუთარი ლექსი წაიკითხე, გამოემშვიდობე შენს საყვარელ სკოლას და თან გაიყოლე დიდი სიყვარული და პატივისცემა. რაიონმაც დაგიფასა შენი ღვაწლი და დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის წოდება მოგანიჭა, რაც ასე გეამაყებოდა. თუმცა, აქტიური მოქალაქის ცხოვრება არ შეგიწყვეტია, მუდამ მონაწილეობდი რაიონში გამართულ ღონისძიებებში, როგორც საპატიოდ მოწვეული სტუმარი და შენგან წარმოთქმული ლექსით თუ სიტყვით სხვა შნოსა და ელფერს აძლევდი მას. ამიტომ ემახსოვრები დიდხანს შენს ხალხს და კეთილად მოგიგონებს მუდამ. გულდასაწყვეტი და მტკივნეულია, რომ ასეთმა ხმაურიანმა, რომანტიული ბუნების ადამიანმა, ასე უხმაუროდ, დამშვიდობების გარეშე დატოვე ეს ქვეყანა, მსოფლიო პანდემიიდან გამომდინარე. მხოლოდ შვილმა, კახა ქადაგიძემ დაგიტირა მდუღარე ცრემლით და რამოდენიმე მეგობართან ერთად, მიგაბარა მიწას მეუღლის, შოველი ქადაგიძის გვერდით. 7 დეკემბერი, შენი ამქვეყნიდან წასვლის დღე, გაუნებელი ტკივილით სავსე იქნება ჩემთვის, ჩემო მეგობარო. ორმოცი დღე გავიდა. შენ, ალბათ, უკვე წარსდექი უფლის წინაშე და შენი ღირსეული ადგილი დაიკავე მის საუფლოში, ნათელში იყავ. ამ წერილით მინდა, ერთხელ კიდევ გავახსენო შენი თავი საზოგადოებას, დაგემშვიდობო და გითხრა, რომ შენ მუდამ იქნები ჩემს ხსოვნაში და მომენატრები.

ნათელა პოპიაშვილი,
სოფელი გამარჯვება.

მეუღლე სპირიდონი, შვილები: ქეთინო, ნათია, თამუნა, სოლომონი, ნინო პოპიაშვილები, სიძეები: გოგიტა მიქაუტაძე, ზურაბ წყარუაშვილი, გოგიტა ხიზანიშვილი, ვალერი მანგოშვილი, შვილიშვილები: რომანი, ლუკა, თომა მიქაუტაძეები, ნანიკო, ნიკოლოზ წყარუაშვილები, საბა, ლაშა, კახი ხიზანიშვილები, გეგა, დათა, ანიტა მანგოშვილები იუწყებიან

მანანა (დოდო) გილიაშვილ-პოპიაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 30.01.2021 წელს, ქ.დედოფლისწყაროში.

ძმები: გელა, ვაჟა, რძლები: ეთერი, ნონა, ძმისშვილები: ანა, ლევანი, დათო ბილიაშვილები ოჯახებით იუწყებიან

მანანა (დოდო) გილიაშვილ – პოპიაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

უახლოესი მეგობლები: ციცინო ლეკაშვილი, ნანა გოზალიშვილი, ნათელა იაკობიშვილი იუწყებიან

მანანა (დოდო) გილიაშვილ – პოპიაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

ნათელა ბილიაშვილის ოჯახი იუწყება

დოდო (მანანა) გილიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დედოფლისწყაროს ევდოშვილის ქუჩის მცხოვრებნი იუწყებიან

მანანა (დოდო) გილიაშვილ – პოპიაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

სსიპ „აისი“-ს დედოფლისწყაროს ფილიალის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ნათია პოპიაშვილს დედის

დოდო (მანანა) გილიაშვილი-პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ზეიმა ყაჭაშვილი და მიმოზა გოგილაშვილი ოჯახით თანაუგრძნობენ სპირიდონ პოპიაშვილის ოჯახს

მანანა (დოდო) გილიაშვილ – პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ეთერ ფიცხელაური, გოდერძი, გია აბულაშვილები ოჯახით მწუხარებით იუწყებიან მამიდაშვილის

გურამ ფიცხელაურის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს თინა მხეიძეს, შვილებს: კახა, ნინო, მაია და მინდია ფიცხელაურებს.

სსიპ კოლეჯი „აისი“ -ს დედოფლისწყაროს ფილიალის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ თეა ქორთიევას მამის

გურამ ქორთიევის

გარდაცვალების გამო.

მონატრება

მაკა (მარიეტა) ოთარის ას ყოჩიაშვილი

40 დღე გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ შვილო, დედა მოგიკვდეს. დედას სიხარულო, დედას სიცოცხლევ, ამბობენ ხოლმე, დრო მკურნალიაო, მაგრამ რაც დრო გადის, შენი გულდამწვარი დედისთვის უფრო მტკივნეული ხდება შენი მონატრება. ოთახში რომ შევდივარ წმინდა სანთელს გინთებ და თვალებით გეძებ, სად ხარ შვილო. ერთ ოთახში ვიწექით, ტკივილი რომ დაგეწყებოდა დედა სწრაფად გიკეთებდა ნემსს, რომ დაგწყნარებოდა, მაგრამ მაინც ეს ვერაგი დაავადება თავს რომ არ განებებდა, მეტყოდი...დე, სხვა ნემსიც გამიკეთე რომელიც კარგია, რომ აღარ ამტკივდესო. როგორ გინდოდა სიცოცხლე, შენს მეგობრებთან გახარება, მაგრამ დაიწვას ბედისწერა, ტანკვით და ტკივილებით წამართვა შენი თავი უკურნებელმა სენმა. 32 წელი გავიდა პირველი ოპერაციიდან, მის მერე დავდივართ ექიმებთან, მაგრამ დედამ სიცოცხლე ვერ შეგინარჩუნა, ტკივილებს ვეღარ გაუძელი შვილო და 45 წლის ასაკში წამიხვედი ამ ქვეყნიდან. დედა მოგიკვდეს შენი ტკივილები და ტანჯვა, დედას თავში, რომ უტრიალებს, დედას სიცოცხლე აღარ უნდა. ამ ახალ წელს ვეღარ ვიქეიფეთ ერთად, დედას რომ დაელოცა შენი თავი. ბედობის დღეს მამამ წამართვა შენი თავი და თავისთან წაგიყვანა. ჩემო სიკეთით სავსე შვილო, ჩემო უწყინარო, ყველა გენანებოდა, ყველასთან სიკეთეს თესდი, არავისი წყენა შენ არ იცოდი, თუ ვინმე გაწყენინებდა საპასუხოს არ ეტყოდი, შენს გულში იტრიალებდი და ტირილს იწყებდი. ექიმებსაც როგორ შეაყვარე თავი, სადაც მიგიყვანდი ჩვენი კარგი გოგო „მაკუნია“ მოგვივიდაო. უბედურ დედას უზომოდ ენატრები. შენი გიორგი ოთახში ვერ შედის, სიყვარულით რომ გივლიდა და გეხუტებოდა. ენატრები შენს ძმას გოგიტას და ძმისშვილებს, ოთიკოს და ლანას ძალიან რომ გიყვარდა ორივე. ენატრები ყველას ვისაც შენი თავი უყვარდა. შენს ოჯახში გინდოდა გახარება, მაგრამ ვაი, რომ ვერ გაიხარე შვილო, ყოველი დღე გინთებ წმინდა სანთელს და ვლოცულობ შენი სულის უკეთესობისთვის. გენაცვალოს დედა, შვილო, მე ისღა დამრჩენია შენთვის ვილოცო, როდის მოვალ შენთან, ჩაგიკრავს დედა გულში და მუდამ ისევ ერთად ვიყვნეთ ორნი. უფალს ვთხოვ სასუფეველი დაუმკვიდროს შენს სულს.

შენი გულდასაწყვეტი დედა შენი გიორგი, ძმა და ძმისშვილები.

ზაზა პოპიაშვილი

მაგიდაზე, შენი სურათების წინ დანთებული სანთლების ციმციმს და საკმეველის სუნს შენთან ვატან მონატრებას, სიყვარულს, ამბორს და ცრემლიანი თვალებით გეუბნები; „გილოცავ დაბადების 42 წლისთავს იმქვეყნად, ზეცაში შვილო. მოდის ჩემთვის ყოფილი სანატრელი სასიხაულო 4 თებერვალი, ცრემლითა და მწუხარებით შეცვლილი.

შენი წასვლით დატოვებულ ტკივილს ვერც 15 წელმა უშველა, შვილო. ისევ ისე მტკივა, ისევ ისე მენატრები და მიყვარხარ, ჩემო ზაზა. უზომოდ სულის ტკივილია უშენობა, ჩემო კეთილო, ალალო, სიცოცხლეზე და ცოლ-შვილზე გულდაწყვეტილო, 27 წლისად დარჩენილო შვილო.

ყველაფერი უფლის ნებაა, ჩვენ ვერაფერს შევცვლით, მისი რწმენით ვახერხებ ამ გაუსაძლისი დღეების გატანას, შენს სახეს და სითბოს ვეძებ შენს შვილში, რომელიც ძალიან გგავს. მახსენდება ჩვენი ერთად ყოფნის 27 წელი, მახსენდება ის უმნიშვნელო დეტალებიც კი, რომელსაც ადრე მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. დედა მოგიკვდეს, ჩემო ზაზა. უშენობა ჩემი სხეულიდან ამოგლეჯილი გულია, რომელიც შენთან ერთად გაჩერდა. განა შეიძლება დრომ უმკურნალოს დედის გულს? ასე რად გაგვიმეტა ცხოვრებამ შვილო. მინდა კიდევ ერთხელ ძლიერად ჩაგიკრა გულში, მოგეფერო, ვიგრძნო შენი გულის ფეთქვა, შენი სითბო და სიყვარული. მინდა დაგიკოცნო ღამაზი თვალები, მიყვარხარ, ტკივილამდე მიყვარხარ ჩემო სიცოცხლე. სიცოცხლის ბედი არ გქონია თორემ, სიყვარულის ნიჭი კი მოგქცა ღმერთმა. უზომოდ გიყვარდა შენი ოჯახი, შენი საყვარელი ნათია და ქალიშვილი ლიკა. ლიკა უკვე დიდი გოგოა, 19 წლის არის შვილო. ხშირად მოვდივართ შენს საფლავზე და ჩუმად გესაუბრება. იმქვეყნად დალოცე და დაეხმარე შვილო.

ჩემო ზაზა, ჩემო ძვირფასო, შენს სურათთან და საფლავთან სანთელი და საკმეველი არ ჩამქრალა, ლოცვები და ფსალმუნები არ შემწყდარა. მაგრამ ჩემო ზაზა, სიცოცხლე და სიხარული ჩაგვიქრა შენს მშობლებს, ცოლ-შვილს და ერთადერთ ძმას გოგიტას. ჩაიფერფლა და ქარს გაჰყვა ჩვენს გულში ყველა იმედი და ოცნება, მაგრამ მადლობა უფალს, რომ ძალას მაძლევს და ამ საშინელ ტკივილს და მწუხარებას რწმენით და ლოცვით მიმსუბუქებს. ჩემი მწარედ დაღვრილი ცრემლები ტვირთად მოგეფინოს ცათა სასუფეველში.

ღმერთო, სამოთხის პატარა ადგილი დაუთმე ჩემს ზაზას, რათა განისვენოს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი ოჯახი

ოთარ გაცაცაშვილი

ოთარ, ჩვენო საყვარელო ძამიკო, 40 დღეა, რაც შენს საყვარელ, საოცნებო ქვეყანაში განისვენებ. დასანანია, რომ ცოცხალს არ გეღირსა აქ ჩამოსვლა. ცხარე ცრემლით დაგტირით.

ციცინო და მერაბ გაცაცაშვილები ოჯახებით.

გაზეთ “შირაქის” რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მაკა სულაშვილს დედის

სალომე გუჩუკურის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მაკა სულაშვილს დედის

სალომე გუჩუკურის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკის მოქმედი და ყოფილი თანამშრომლები იუწყებიან

ლილი მნათობიშვილი – ლაკიაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ვანო და ეკა ლაპიაშვილებს.

რა შეცდომას უშვებენ COVID-19 გადატანილები?

კორონავირუსის გადატანის შემდეგ, განსაკუთრებით ახალგაზრდები, გართულებების თავიდან ასაცილებლად, უნდა მოერიდონ (დროებით) ინტენსიურ ფიზიკურ ვარჯიშს.

ფიტნესის მოყვარულთა ერთ-ერთი სერიოზული შეცდომაა სურვილი, დაიბრუნონ ის მაჩვენებელები, რაც დაავადებამდე ჰქონდათ, რის შედეგადაც ბევრი ადამიანი საკუთარ ორგანიზმს ზედმეტ დატვირთვას ანიჭებს.

ვირუსული ინფექციის გადატანის შემდეგ, ადამიანის იმუნიტეტი ჯერ კიდევ დასუსტებულია და ორგანიზმს დროებით არ შეუძლია დიდი დატვირთვის მიღება. ბევრი დაავადების შემდეგ, ცდილობს დაიბრუნოს სპორტული ფორმა და ამისთვის მაქსიმალურ ძალისხმევას არ იშურებს, რაც დიდი შეცდომაა.

ავადმყოფობის დროს ჯანმრთელი უჯრედები ხარჯავენ მეტი რაოდენობის ენერგიას, ამიტომ დიდი ფიზიკური დატვირთვისას, ორგანიზმს შეიძლება მისი მარაგი არ ეყოს. ანთებითი რეაქციის დროს წარმოიქმნება განსაკუთრებული ნივთიერებები, რომლებიც მთელი ძალებით ცდილობენ პროცესის იზოლაციას. ამიტომ ფიზიკური აქტივობის პიკს დაავადების გადატანის შემდეგ ორგანიზმი თანდათანობით უნდა დაუბრუნდეს.

მერაბ ნინიძე უცხოურ ფილმში

ფილმი „The Courier" მერაბ ნინიძის, ბენედიქტ კამბერბეტჩის, რეიჩელ ბროსნაანისა და ჯესი ბაკლის მონაწილეობით, ნამდვილ ამბავზეა დაფუძნებული. ესაა ჯაშუშური თრილერი, რომლის გმირი გრევილ ვინი (ბენედიქტ კამბერბეტჩის შესრულებით) ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს საერთაშორისო კონფლიქტშია გახვეული. ბრიტანული MI6-სა და CIA-ს ოპერატიული ინფორმაციით, ის საიდუმლოდ თანამშრომლობს საბჭოთა ოფიცერთან (მერაბ ნინიძის შესრულებით). IMDB-ის ინფორმაციით, ფილმი საერთაშორისო კინოთეატრებში 19 მარტიდან გამოჩნდება.

The Courier-ში შესრულებული როლისთვის, მერაბ ნინიძე ბრიტანული დამოუკიდებელი კინოდაჯილდოება BIFA-ს ნომინაციაზეა წარდგენილი მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისათვის. BIFA-ს შედეგები 2021 წლის თებერვალში გახდება ცნობილი. ფილმი, მერაბ ნინიძისა და ბენედიქტს კამბერბეტჩის მონაწილეობით, 19 მარტიდან გამოვა. მერაბ ნინიძე, ამ როლისთვის, BIFA-ს ნომინაციაზე წარადგინეს.

„ჩვენი დროის ადამიანები"

საზოგადოება „ამაგდარის" მიერ გამოიკითხა დედოფლისწყაროს ადგილობრივი მოსახლეობა. გამოკითხვის შედეგად ნომინაციაში „ჩვენი დროის ადამიანები" გამოვლინდნენ:

პირველი ოცეული ნომინაციაში: „სიკეთე, ქველმოქმედება, სიყვარული" გამოვლიდნენ:

ნუგზარ ალულიშვილი- ფერმერი;
ნიკოლოზ ბენიაიძე-ფერმერი;
ბეჟან გონაშვილი- ფერმერი;
ვაჟა გონაშვილი-ფერმერი;
გოდერძი გონაშვილი- მეწარმე;
თენგიზ გონაშვილი- ფერმერი;
სოსო თევზაძე- ფერმერი;
ზურაბ თეთვაძე-ფერმერი;
ელგუჯა თეთვაძე-ბიზნესმენი;
ელიზბარ იმერლიშვილი-ფერმერი;
თენგიზ იაკობიშვილი-ფერმერი;
ზეინალ მოდებაძე-მეწარმე;
ვანო ნატროშვილი-ექიმი;
ავთანდილ ლეკაშვილი-ფერმერი;
გელა ნატროშვილი-ფერმერი;
აკაკი ოზაშვილი-ფერმერი;
ვაჟა ოზაშვილი- მეწარმე;
მერაბ როგიტაშვილი- ფერმერი;
გივი ღვინიაშვილი-ფერმერი;
ხვთისო ცისკარაული- ფერმერი.

როდის არ ვლინდება ვირუსი?

დაავადების პირველ სტადიაზე, სიმპტომების არარსებობის შემთხვევაშიც კი, ვირუსი მრავლდება, ხოლო მისი მტარებელი ინფექციის გამავრცელებელია. ადამიანების 40% ვირუსს იღებს უსიმპტომო მტარებლებისაგან. პირველი სტადიის დასრულების შემდეგ, იწყება მეორე სტადია, სადაც სიმპტომები უკვე თვალსაჩინოა. თუმცა გარკვეული რაოდენობის ადამიანებს დაავადება პირველი სტადიის იქით აღარ უვითარდებათ.

პირველ სტადიაზე ვირუსის დათრგუნვა ხდება ინტერფერონების ხარჯზე, რომელიც ქმნის ორგანიზმის ბუნებრივ დაცვას. მან შეიძლება დაამარცხოს შეჭრილი ვირუსი, ისე, რომ არ გამოიტყორცნოს ანტისხეულები. ამიტომ ანტისხეულებზე ანალიზი კორონავირუსით დაავადებულ ადამიანში შეიძლება იყოს უარყოფითი.მეორე ფაზაზე ვლინდება სიმპტომები: ტემპერატურა, ხველა, ქოშინი. ამ სტადიაში ვირუსი ჯერ კიდევ მრავლდება. სწორედ ამ დროსაა საჭირო ანტივირუსული პრეპარატების გამოყენება, რასაც ითვალისწინებს COVID-19-ის თერაპია.

ულოცავენ!

შალვა თეთვაძეს!

ძვირფასო **შალვა,** გულწრფელი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო 85 წლისთავს. კვლავაც სიმხნევეს, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ. თქვენს მიერ განვლილი ხანგრძლივი ცხოვრების გზა არის მშრომელი, განსწავლული, კეთილშობილი და ბედნიერი კაცის გზა, მიუხედავად უამრავი წინაღობისა და სიძნელისა, რომელიც გადალახეთ თქვენი მიზანსწრაფულობითა და სიმართლით.

თქვენი ღვაწლი რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდია და დასაფასებელი. ამასთან, გაზარდეთ კარგი შვილები და ხარობთ შვილიშვილებსა და შვილთაშვილებში. დასანანია, რომ გვერდს აღარ გიმშვენებთ და ჩვეული ერთგულებით უღელს არ გიმაგრებთ თქვენი მეუღლე, ქალბატონი ლეილა,მაგრამ ცხოვრება გრძელდება. ამიტომ, დატკბით ცხოვრებით და გაიხარეთ თქვენს დიდ და კარგ ოჯახთან ერთად. წლებს არ შეუშინდეთ და არ დაემორჩილოთ!

ლალი ბოჭორიშვილი, ჯიმი, გია და ლია ალულიშვილები

ხათუნა აბლაძეს! გოდერძი გონაშვილს! ინგა ჭიოლაშვილს! ნანა ჭიჭინაძეს!

ჩვენ სახელოვან თანამემამულეებს, მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის წევრებს გილოცავთ საქართველოს მასშტაბით 2020 წლის საუკეთესო ადამიანის წოდების მინიჭებას და გიძღვნით ირაკლი აბაშიძის ლექსის ამონარიდს:

„მხოლოდ დიდება თქვენს გზა-სავალზე
მხოლოდ დიდება დაგბედებოდეთ"...

პატივისცემით,
ვაჟა მამაიაშვილი და თამაზ კობაიძე

ყურადღება!

ძვირფასო მკითხველო, 2021 წლისთვის იწყება გაზეთ „შირაქის" გამოწერა. გაზეთის ღირებულება ერთი წლით 20 ლარია (ნახევარი წლით, 6 თვე–10 ლარი). ჩვენ ფასის მომატებისგან ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვიკავებდით თავს. პანდემიამ ყველაფერს თავისი კვალი დაამჩნია, მათ შორის ჩვენც აღმოვჩნდით. საგრძნობლად გაძვირდა სასტამბო მომსახურება და გაზეთის ბეჭდვა. ამიტომ, გაზეთის რედაქცია იძულებული გახდა ასეთი ნაბიჯი გადაედგა. იმედი გვაქვს, ფასის მცირედი ზრდა გავლენას არ მოახდენს და თქვენ კვლავ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ერთადერთი მედია საშუალების ერთგული მკითხველი დარჩებით.

პატივისცემით,
გაზეთ „შირაქის" რედაქცია

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 01.02	სამშაბათი 02.02	ოთხშაბათი 03.02	ხუთშაბათი 04.02	პარასკევი 05.02	შაბათი 06.02	კვირა 07.02
დღე	12°	14°	14°	13°	12°	11°	12°
ღამე	-4°	-2°	0°	1°	1°	1°	0°

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა ჭიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის" სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-87;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.